მოგონებები იაპონიიდან

1998-2004 წლები

ჰირაცუკა-სენდაი

თეიმურაზ მჭედლიძე

2014-2015 წწ

დრეზდენი, გერმანია

შესავალი

ცხოვრებაში ბევრჯერ დამიწყია დღიურის ჩაწერა. ზოგჯერ საკმაოდ ხანგრძლივადაც მივდევდი ამ შესანიშნავ საქმიანობას. მაგრამ რაღაც ეტაპზე ყოველთვის ვანებებდი თავს. ვერ ვიტყვი რომ განსაკუთრებით განვიცდი იმას რომ განუწყვეტლად არ ვწერდი. უფრო იმ აზრის ვარ, რომ უნდა ჩაიწერო მაშინ როცა არ შეგიძლია არ ჩაიწერო, როდესაც ნამდვილად ძალიან გინდა რაღაც მოვლენის ზუსტად დამახსოვრება და რაც მთავარია ამის საშუალებაც გაქვს, ვგულისხმობ დროს და განწყობას. რასაკვირველია, ყოველთვის არ იცი რამდენად მნიშვნელოვანი იქნება ესა თუ ის მოვლენა შენს ცხოვრებაში და შემდეგ ნანობ რომ არაფერი "ხელმოსაკიდი" არ გაგაჩნია წარსულის რაღაც პერიოდის გასახსენებლად. მაგრამ კომპენსაცია ალბათ იმაშია რომ "ჩაუწერელი" წარსული შეგიძლია უფრო მადაზე შეალამაზო, ჩაწერილს კი რას უზამ?
ამ ფურცლებში მოყვანილია ეპიზოდები ჩვენი ოჯახის ცხოვრებიდან იაპონიაში 1998-2004 წლებში. ეს პერიოდი საკმაოდ "წყნარი" იყო ჩვენს ცხოვრებაში, ჯერ ჰირაცუკაში და შემდეგ სენდაიში ვცხოვრობდით. მე სტაბილური და საინტერესო სამსახური მქონდა; ნატო როგორც ყოველთვის, დიდი სიყვარულით და თავდადებით ყველას გვივლიდა; ბავშვები იზრდებოდნენ, იცვლებოდნენ და მშვენიერ ელფერს აძლევდნენ ჩვენს ყოფას. განსაკუთრებით დიმიტრისათვის ეს პერიოდი ძალიან მნიშვნელოვანი ცვლილებების ეტაპი იყო, ამიტომაც ისტორიების უმრავლესობა მას შეეხება. ახლა ცოტა ვწუხვარ რომ ანაზე და მერიკოზე მსგავსი მნიშვნელოვანი პერიოდების აღწერა არა მაქვს. მაგრამ რას იზამ, ეტყობა მაშინ ვერ აეწყო დღიურების ჩაწერა, სხვა საზრუნავი უფრო მეტი მქონდა. ისე კანტი-კუნტად მოფანტული იმდროინდელი ჩანაწერებიც მაქვს და თუ ეს გამოცდილება მომეწონა, შეიძლება ისინიც დავალაგო ამ ისტორიების მსგავსად.
ეს ისტორიები უბის წიგნაკში არის ჩაწერილი. ფურცლებად დავყავი რომ კომპაქტური წასაკითხი ყოფილიყო, ამიტომ დაყოფაში და ჩანაწერების თანამიმდევრობაში დიდი აზრი არ არის ჩადებული. თუმცა თუ წაკითხვას

დააპირებთ ალბათ ჯობია ქრონოლოგიას მიჰყვეთ ნომრების მიხედვით. ჩანაწერებიდან თითქმის არაფერი შემიცვლია, უბრალოდ ხანდახან ვჩქარობდი ჩაწერისას და სიტყვებს ვამოკლებდი, ან იაპონურ ფრაზებს არ ვთარგმნიდი და ა.შ. მეორეს მხრივ, თუ გრამატიკულ შეცდომებს იპოვით, თავისუფლად შემიძლია თავი გავიმართლო იმით რომ პირდაპირ ნაწერიდან გადმომქონდა და დიდათ არ "ვამუშავებდი" ტექსტს. ჩანაწერები იმედია უფრო ღიმილს გამოიწვევს, ვიდრე სერიოზულად დაგაფიქრებთ, თუმცა, როგორც ამბობენ, ყოველ ხუმრობაში მარტო რაღაც ნაწილია სახუმარო. მოკლედ რომ დავამთავროთ, წაიკითხეთ, გაერთეთ და თუ მოგეწონებათ მეც მეტი არაფერი მინდა.

ჰირაცუკა, იაპონია, 1998 წლის 10 ნოემბერი

პირველი ფურცელი

10.03.98. დიმას ლაპარაკიდან:

-ფიშიუ: სალფეთქი (იაპონურიდან: "თიშუ")

-დოკო იტტანო: (იაპონური: სად წავიდა?): რაღაცას რომ ეძებს

-ონეგააიი: რამეს გთხოვს (იაპონურიდან: გთხოოოვ რააა!)

-მამაა: მე მომმართავს (ქართულად!)

როდესაც ჭამს: "-იქიმას" (იაპონური: მივდივარ) - იტადაქიმას (იაპონური: მივირთმევ) ნაცვლად.

30.03.98. მერის ლაპარაკიდან:

ვაკეთებთ ხინკალს, ქართულად ამბობს:

"- მოდი ცომს მე გავჭიმავ..." (იაპონურიდან, აქ ცომს "ნობასუ"-ს აკეთებენ, რაც პირდაპირ ითარგმნება როგორც გაჭიმვა, დაგრძელება).

მერიკოს ლაპარაკიდან - ქართულად:

- მამა, საათი ცოტა მათხოვე (იაპონურიდან: "ჩიოტტო ქაშტე" - მათხოვე რა!).

19.06.98. გუშინ საღამოთი რომ ვიძინებდით დიმა ჩემს ფეხებში დაწვა. "- მანდ თავს ნუ დადებ, ჭუჭყიანია" ვუთხარი. არ დამიჯერა, მოხვდა ტაკოში. გამებუტა, გაიქცა გოგონებთან ოთახში. ცოტა ხანში მივაკითხე წამოსაყვანად, ჩაეძინებოდა მეთქი. არ ეძინა, მერიკოსთან ერთად მის ლოგინში იყო ჩამთბარი. მერიკოს კი უკვე ეძინა. შემომხედა, მიხვდა რისთვისაც მოვედი, თვითონ გადმოძვრა ლოგინიდან, მერიკოს ყურადღებიანად და სიყვარულით მიაფარა საბანი. კარებიდან მიუტრიალდა და ჩუმად, სიყვარულით ჩაიჩურჩულა: "ოიასუმი, მერიკო" (იაპონური: ღამე ნებისა, მერიკო).

28.06.98 წვიმების სეზონის დასასრულისთვის მაგრად ჩამოცხა, დახუთულობაა საშინელი. დიმამ თავისი ყუთიდან შალის შარვალი გადმოიღო და ჩაცმას აპირებს.

"-დიმა, ცხელია მაგი შარვალი"- ვეუბნები.

"-ჰაი, ჰაი, ვაქატა!" (იაპონური: ჰო, ჰო გავიგე) - პასუხობს დიმა და შარვალი "გასაგრილებლად" ვენტილიატორთან მიაქვს. ორიოდე წუთი აგრილა, ჩაილაპარაკა "- ცქეტანო" (იაპონური: გავუკეთე, გავასწორე) და ჩაიცვა.

28.06.98. დიმას კუბიკებს და მანქანებს ვეთამაშები, მისი საყვარელი თამაშია. მოდის ნატო და უნდა ჩვენს თამაშში ჩაერთოს. დიმა წინააღმდეგია, არ უნდა დედას მონაწილეობა. ჩვენ აღმზრდელობით მუშაობას ვუტარებთ იმ აზრით რომ დედასაც უნდა თამაში და არ შეიძლება თუ შენთან ვინმეს თამაში უნდა, შენ უარი უთხრა. მიხვდა რომ ვერაფერს გახდებოდა:
"-მირუქუ ონეგააიი!" (იაპონური: რძე მომიტანე რაა!), ისტუმრებს ნატოს.

ქამაქურა, იაპონია, 1998 წლის მაისი

მეორე ფურცელი

10.07.98. ამას წინათ საღამოთი დიმას ვეთამაშობოდით. რაღაც ეტაპზე დიმას გასართობად მე და ნატომ ხელ-ფეხში მოვკიდეთ ხელები და საქანელასავით ვიქნევდით. ძალიან მოეწონა. როცა გული იჯერა, გადაწყვიტა რომ თავისი დებისათვისაც ესიამოვნებინა. ჯერ მერის დაუძახა, მე ხელებში მომაკიდებინა ხელები, თვითონ ფეხებში მოჰკიდა. ეცადა აეწია მაგრამ ვერას გახდა. "- ია, დამედა” (იაპონური: არა, არ გამოვა), თქვა და დედას დაუძახა. როდესაც გადაწყვიტა რომ მერის ეყოფა სიამოვნება, ანას დაუძახა. ისევ ხელები მე მომანდო, თვითონ ფეხებში წვდა. რატომღაც ამჯერადაც ვერაფერი გამოუვიდა. "- მო ცქარეტა” (იაპონური: უკვე დავიღალე) თქვა და ანას ფეხები ისევ დედას გადააბარა.

24.07.98 ვიმყოფებით თაჯიმაში, იაპონიის შუაგულში, ნატოს ამხანაგის სახლში ვცხოვრობთ. სოფელია სოფლური, ბევრი მწვანეა, ირგვლივ მაღალი ტყიანი მთებია. მაგრამ რაც შეიზლება დაგჭირდეს ყველაფერი აქვთ: ტელეფონი, ფაქსი, ტელევიზორი, ცივი და ცხელი წყალი, მშვენიერი გზები, სარეცხი და საშრობი მანქანები და ასე შემდეგ.

დილაა. დიმამ 5:30-ზე გაიღვიძა და "სიამოვნებით" გავყევი სასეირნოდ, ნატოს რომ ძილი გაეგრძელებინა. წუხელის ნაწვიმარია, ბევრი გუბეებია. ერთ-ერთ გუბესთან დიმა ჩაჯდა და ფილოსოფიურად იყურება წყალში. ამ დროს ყვავმა გადაუფრინა და დასჭყავლა "კარრ, კარრ". დიმამ წარბიც არ შეიხარა, პოზა

არ შეუცვლია და თავისთვის ჩაილაპარაკა "- ნანიგა კარრ?" (იაპონური: ვითომ რაო, კარრ?).

14.09.98. დიმა ხელებით ძელზე იყო ჩამოკიდებული და ჩამოხტა. შემდეგ უკან გადადგა ნაბიჯი და თავის ნაფეხარს დააკვირდა. თურმე ჩამოხტომისას ჭიანჭველა გაუჭყლეტია. "- ჰორა, მიტე, ქოვარეტა" (იაპონური: აჰა, შეხედე, დაიმტვრა)- თქვა შეწუხებულმა.

.....

როდესაც ყურადღების მიპყრობა უნდა სერიოზული სახით მომმართავს "-ოტოოსან, ხანაში გა არუიო" (იაპონური: პატივცემულო მამა, სალაპარაკო მაქვს თქვენთან).

.....

ორივე დის სახელი მშვენივრად იცის მაგრამ თუ ორივეს შესახებ უნდა რამე თქვას "მერიქო-თაჩი"-ს იძახის (იაპონური: "მერიკოები"). პირადად ანას კი სწორად სახელით მიმართაავს.

.....

სამსახურში სახლიდან შარფენი (გრიფელიანი საწერი) წავიღე. ეტყობა მანქანაში ჩანთიდან გადმომივარდა. ანამ მონახა და სახლში ამომიტანა. საშლელი აკლდა და საშლელის თავსახური დაკარგული ჰქონდა. "-ვაჰ, რა კარგი გოგონა ხარ, რომ მონახე" ვუთხარი ანას, "-სამსახურში ძალიან მჭირდება"- დავუმატე. საღამოს ანამ საშლელის თავსახურიც მომიძებნა თავის ფანქრებში. "-ეჰ, ამას რომ საშლელიც ჰქონდეს"... ვინატრე მე. წავიდა და ხუთიოდე წუთში საშლელიც გამომიტანა. "-ძალიან დიდი მადლობა"-ვითხარი მე სერიოზულად. "-არაფერს" ასევე სერიოზულად მომიგო ანამ და როცა ჩათვალა რომ აღარ ვუყურებ, სიხარულით აღსავსე წაკუნტრუშებით გაემართა თავისი ოთახისაკენ.

მესამე ფურცელი

15.10.98. დღეს დიმამ ჩვეული სერიზულობით იკითხა: "-ქონო ჩიქიუ-გა დარეგა ცქუტტა?" (იაპონური: ეს დედამიწა ვინ შექმნა?). მიდი და აუხსენი...



როცა რაღაც "ქმედებისთვის" ემზადება ჩვეულებრივად იღებს არწივიონოკის პოზას: ემზადება გმირული საქმეებისთვის. თავს წინ გასწევს, ხელებს უკან მოიმარჯვებს და სახის გამომეტყველებასაც გაიმკაცრებს.

21.10.98. გუშინ დიმას გავუბრაზდი, რამდენჯერმე ვუთხარი "- დამე!" (იაპონური: არ შეიძლება!). ის კი თავისას აგრძელებდა. მოკლედ, ბოლოში საკმაოდ მაგრად მოხვდა რბილ ადგილებში. იტირა. მერე რომ დაწყნარდა ავუხსენი "- მე რომ ვამბობ არ შეიძლება, ესე იგი არ შეიძლება, გაიგე?". დაბუსული მისმენდა.
საღამოს დიმას ვაბანავებ. დაიწყო ხელებით კედლების მოწმენდა. ვეუბნები " -არ შეიძლება!", აგრძელებს."-არ შეიძლება მეთქი, გითხარი?!", ვუწევ ხმას. " -ჰაი, ჰაი, ვაქატტა, ვაქატტა..." პასუხობს დიმა და დამაწყნარებალი ჟესტით ხელებს წინ იშვერს.

10.11.98. დღეს დილით.
ნატო დილაობით მე და ანას ობენტოებს გვიმზადებს (იაპონური ტრადიციის მიხედვით, პლასტიკის, ადრე ხის ყუთში ჩადებული სადილი-საგზალი). ბევრი სხვადასხვანაირ საჭმელს დაამზადებს პატარა პორციებით და მერე ლამაზად ჩაგვილაგებს ყუთებში მოხარშულ ბრინჯთან ერთად, ძალიან ლამაზად და

გემრიელად გამოსდის, იაპონელებსაც კი შურთ ჩვენი. იმის მერე რაც ნატო ჩვენს ყუთებს აავსებს, მერი და დიმა დარჩენილი საჭმელებით "ნამცეცობენ". დღეს დილით ნატომ კროკები შეწვა (კარტოფილში ჩადებული კატლეტები) და სანამ დანარჩენ საჭმელებს გაამზადებდა კროკები თეფშით მაგიდაზე დადო. მაგიდასთან დიმა მივიდა. უყურა ამ კროკებს, უყურა და ჩუმი ხმით თავისთვის იკითხა: "- თაბეტე იი ქანა?" (იაპონური: ნეტა შეიძლება რომ ვჭამო?), იქვე შეკითხვას თვითონ უპასუხა: "იი-ო" (იაპონური: კი, რასაკვირველია) და შესაბამისი ქმედებაც არ დააყოვნა... დავჩი მე კროკების გარეშე.

20.11.98. დიმა გუშინ საღამოთი იხვევს ყელზე ნატოს გრძელ ახალგარეცხილ თბილ შარფს. თავისიც აქვს, სათანადო ზომის, მინდა რომ თავისი გაიკეთოს. ვეუბნები:

"- დიმა, ეგ შარფი გოგოსია, შენ ხომ ბიჭი ხარ!"

"- სამუი ქარა დაიჯობუ!" (იაპონური: ძალიან რომ ცივა, არაფერი უჭირს) პასუხობს და აგრძელებს სეირნობისთვის მზადებას.

....

საღამოთი ნატო გააბრაზა რაღაცით. ნატომ ბოდიშის მოხდა მოსთხოვა, არაფრით არ მოიხადა ბოდიში, დილამდე ასე გასტანა. დილით მე ვახსენებ, რომ ბოდიში აქვს დედასთან მოსახდელი, რაზეც მპასუხობს: "- მერიმ ხომ მოიხადა გუშინ ბოდიშიო?!" თურმე წინა საღამოთი მერისაც რაღაცით გაუბრაზებია ნატო და დიმამ დაარწმუნა რომ ბოდიში მოეხადა და საბოლოოდ მოახდევინა კიდეც დედასთან ბოდიში. შესაბამისად ჩაითვალა რომ თვითონაც ინდულგენცია გამოიწერა.

მეოთხე ფურცელი

19.12.98. გუშინ დილით ვსვამთ ჩაის. ამ დროს დიმა ჩვენს ლოგინში გადმობარგდა, ტელევიზორი ჩაირთო და ფეხი-ფეხ გადადებული უყურებს. ტელევიზორში ახალი ამბების გამოშვებაა, ჩვენ ერთმანეთში ვხუმრობთ "ნეტავი, კლინტონის იმპიჩმენტის ამბავს თუ გებულობს?" და მისთ. მერი სერიოზულად დაინტერესდა, რამე თუ ესმისო და ეკითხება დიმას
"- რაო, რა ისმის ახალიო?"
"-ამერიკა ირაქუ-ო როქეტო დე ბუტობაშტა." (იაპონური: ამერიკამ ირაკს რაკეტები ესროლაო) სერიოზულად პასუხობს დიმა. მოდი და გააშაყირე ამის შემდეგ, ვერაფერს იგებსო.

31.12.98. გუშინწინ მთელი დღე დისნეილენდში გავატარეთ, ტოკიოში. თავიდან ვფიქრობდით დიმა რთული ატრაქციონებისთვის აგვერიდებინა, მაგრამ მას მერე რაც "სტარ ტრეკზე" აგვეკიდა და ხმაც არ ამოუღია, გავბედეთ და ყველგან დაგვყავდა. თანაც კაცმა სიმაღლის შემოწმება პირნათლად გაიარა (იაპონელი 7-წლიანი ბავშვების სიმაღლისაა) და "უფასოდაც" შეუძლია კატაობა (როგორც 5-წლიანზე პატარას). შევედით "სფეის მაუნთინზე" - სიბნელეში, დიდი სიჩქარით მიქრის, უხვევს, ტრიალდება, სინათლის და ხმის ეფექტები და ა.შ. დიმა ჩემს გვერდით დავისვი, ხელი მოვხვიე ამხანაგურად, არ შეეშინდეს მეთქი. წყნარად იჯდა მთელი დროის განმავლობაში განმავლობაში. ბოლოს როცა უკვე გამოვდიოდით კი თქვა - "- მო იამეტა" (იაპონური: მეტი აღარ მინდა).
ამის შემდეგ შევედით სტერეო ფილმზე. აქაც ბევრი მოულოდნელობა და საშინელება იყო. სპეციალური სათვალეები წამითაც არ მოუძვრია დიმას. ნამეტანი ასაღელვებელი მომენტების დროს ვცდილობდი თვალებზე ხელი ამეფარებინა დიმასათვის, მაგრამ არ მიშვებდა, უყურებდა. ერთ მომენტში კი ძალიან გაუჭირა საქმე პიტონმა - მთლად ცხვირთან მოდიოდა, სისინებდა და საშინლად აღებდა პირს. ჰოდა, ძალიან რომ აიშვა თავი, დიმამ რამდენჯერმე ჩაილაპარაკა - "- მო კეკკო დეს, იკე!" (იაპონური: გეყოფა ახლა, წადიო).

სხვა რა, მანქანებს თვითონ ატარებდა, "თუუნ თაუნში" კარები მოეწონა, რომლის გაღებისას საშინელი ხმები ისმოდა და კარზე ზარის დარეკვისას კი ჭურჭლის მტრევის ხმა, დინამიტებიც ააფეთქა. კარიბის ზღვის პირატების დათვალიერებისას ცოტა ჩაეძინა კიდეც. ისე ყველაფერი გმირულად აიტანა საღამოს პარადის და ფეირვერკის ჩათვლით, ერთი არ უწუწუნია. გზაში მანქანაში გაგვეთიშა.

მეორე დილით რომ გაიღვიძა, მოგვახსენა:

"- დისნეილენდი მო იამეტანო, სოტო დე ასობო (იაპონური: დისნეილენდი აღარ მინდა, აწი ეზოში ვითამაშებ ხოლმე).

ამის შემდეგ თუ მე და ნატოს სადმე წასვლა გვინდოდა მარტო, ვეუბნებოდით დისნეილენდში მივდივართო და გვანებებდა თავს, წადითო!

დისნეილენდი, ტოკიო, იაპონია, 1998 წლის 28 დეკემბერი

მეხუთე ფურცელი

31.12.98. დიმამ შოკოლადიანი ნამცხვარი მაგიდიდან თავის ოთახში გააპარა. ამ დროს ნატოც ოთახში შემოვიდა და ყველაფერი დაინახა. დიმა ნამცხვრის დამალვას აპირებდა საბნის ქვეშ მაგრამ შეამჩნია, რომ ნატომ დაინახა. "- იმ ოთახში ნაცხვარს ციოდა და ამიტომ თბილად ვაფარებო", აუხსნა დედას თავისი ქმედებები დიმამ.

03.02.99. დიმა ძალიან გაიზარდა და შეიცვალა. თითქმის ყოველ დილით წამსვლელებთან (ჩემთან, ანასთან და მერისთან) მოლაპარაკებებს აწარმოებს, რომ სახლში დავრჩეთ. თავიდან უბრალოდ არ გვირჩევს, შემდეგ გვიკრძალავს და როცა არაფერი გამოსდის დედას მიმართავს ხოლმე დახმარებისთვის, მაგრამ ამაოდ... საღამოს დიდი სიხარულით მხვდება თუ ძალიან დაკავებული არ არის (თუ მულტფილმს არ უყურებს მაგალითად) აუცილებლად მომირბენინებს საშინაო ტანსაცმელს და ჩაცმაშიც კი ცდილობს დახმარებას.
მეკობრეებზე (იაპონურად "ქაიზოკუ სენ") რაღაც მულტფილმი ნახა და ახლა ყოველ საღამოს მაკეთებინებს ახალ მეკობრეების გემს ლეგოსგან (ძველი დღის განმავლობაში ემტრევა ხოლმე - ხან შტორმში მოხვდება, ხან ბრძოლაში დაუზიანდება...). ძალიან ტრადიციულია და მომთხოვნი, უნდა რომ სტანდარტული ფორმის და ზომის გემი დავუმზადო. მე კიდევ ჩემთვის თვითონ ვთამაშობ, ვცდილობ ფორმა დავხვეწო, გავალამაზო, ახალი დეტალები დავუმატო. მეჩხუბება, "- აქ ეს არ უნდა იყოსო, ეს ზედმეტიაო..." და ასე შემდეგ. ძალიან ძნელია რამეში გადაარწმუნო, წუწუნებს და თავისზე დგას. მჯობნის. დავანებებ ხოლმე თავს გემის დახვეწას და მალევე ჩავაბარებ ნამუშევარს. კმაყოფილი გარბის სათამაშოდ.

06.07.99. დიმა ტელევიზორში რეკლამას რომ უყურებს ყოველთვის ანაწილებს ხოლმე რეკლამილებულ ნივთებს. თუ სათამაშოს რეკლამაა - მე მომმართავს თხოვნით რომ ვუყიდო, თუ კოსმეტიკაა ან საოჯახო ნივთები - გვპირდება რომ

ნოტოს უყიდის, მანქანის რეკლამისას მე მპირდება რომ მიყიდის, კაზების რეკლამისას მე და ნატოს გვთხოვს რომ გოგონებს ვუყოდოთ. მოკლედ რეკლამის აგენტად მუშაობს უხელფასოდ.

საღამოს ჩვეულებრივ ყურადღებით უყურებს ხვალინდელ ამინდის პროგნოზს (იაპონურად "აშიტანო თენქი") ტელევიზორში. ამას წინათ დილით ფანჯარასთან მივიდა, ფარდა გადახსნა და ღრმააზროვნად თქვა "- ა..., აშიტანო თენქი-და!" (იაპონური: აჰა, ესეც შენი ხვალინდელი ამინდი).

ჰირაცუკა, იაპონია, 1999 წლის მაისი

მეექვსე ფურცელი

11.04.99. გოგოებმა ინგლისურის სწავლა დაიწყეს, მასწავლებელთან დადიან. მეროკოს თავიდან ძალიან გაუჭირდა, სიტყვები სულ არ იცოდა და ლექსიკონში ძებნა კი, მოგეხსენებათ ძალიან ძნელია როცა წინადადებაში არც ერთი სიტყვა არ იცი და ყველა უნდა ლექსიკონში იპოვო.
ვისარგებლეთ ტექნიკური პროგრესით და ვუყიდეთ ელექტრონული ლექსიკონი. გამარტივდა საქმე: ჩაბეჭდავ საძებნ სიტყვას და ეგრევე თარგმანს დაგიწერს, თან შეგიძლია ათქმევინო კიდევაც. მოკლედ ეშველა მერის! ჰოდა ამ ლექსიკონის ყიდვის შემდეგ, გზად მაღაზიაშიც შევიარეთ და პროდუქტები ვიყიდეთ. მაგ დღეს ანა ტოკიოში იყო, თავის თეატრალურ სტუდიაში სამეცადინოდ. მარტო საღამოთი მოვიყვანე სახლში.
ახლა ამ ისტორიის კულმინაცია. მერი ზის მაგიდასთან და ინგლისურს მეცადინეობს ახალი ელექტრონული ლექსიკონის დახმარებით. მე და ანა ახლახან შემოვედით და ტანსაცმელს ვიცვლით. ნატო და დიმა ტელევიზორს უყურებენ. ანა შედის იმ ოთახში სადაც მერი მეცადინეობს და ხმამაღლა კმაყოფილად ამბობს:
“-ოო, ზუსტად ასეთი რამე მინდოდა!”.
მე და ნატო, კმაყოფილები რომ ბავშვს ლექსიკონით ვასიამოვნეთ, სასწრაფოდ წამოვიშალეთ და გავემართეთ იმ ოთახში სადაც გოგოები იყვნენ. მოვემზადეთ მადლობების მისაღებად და ყველა შესაძლებლობების და უპირატესობებების დეტალურად ასახსნელად: “- ასეთი რამეც შეუძლია ამ ლექსიკონს და ისეთიც და ა.შ”. შევდივართ ოთახში და რას ვხედავთ? ახალ ლექსიკონს ანა ზედაც არ უყურებს და გემრიელად მიირთმევს სასისკიან პურს, რომელიც იქვე თეფშზე იდო. თურმე დიდი ხანია ასეთი პურის გასინჯვა უნდოდა და მაგაზე ლაპარაკობდა. ჩვენი ახსნა-განმარტება არავის აინტერესებდა.

09.11.99. დიმა ამცნობს ხოლმე დანარჩენ ოჯახის წევრებს ჩემს სახლში დაბრუნებას:
“- ოტოოსამა ოქაერინი ნარიმაშიტა!”

ამ გამოთქმის ზუსტი თარგმანი იაპონურიდან საკმაოდ ძნელია, იმდენად ბევრია მასში პატივისცემა და თავაზიანობა. უფრო იმპერატორისათვის თუ გამოიყენება ასეთი დახვეწილი ფორმებით ლაპარაკი. ყველაზე ახლოს ალბათ ასე შეიზლება გადაითარგმნოს - “ბატონმა (ან მფლობელმა) მამამ სახლში დაბრუნება ინება!”.

საერთოდ როცა მოვალ სახლში (განსაკუთრებით თუ რამდენიმე დღით ვიყავი წასული) დიმა ცდილობს ყველანაირად სასარგებლო იყოს. თან მკოცნის, მეხვევა, თან ტანსაცმლის გახდაში მეხმარება ან ჩაცმაში, ხან სკამს მომიწევს დასაჯდომად და ა.შ. ძალიან სასიამოვნოა ასეთი პატივისცემა. თუ ჩემი დაბრუნების წინ რაიმე დააშავა, მაშინ ჩუმად კუთხეში ზის, დაბუზული...

ოდავარა, იაპონია, 1999 წლის ნოემბერი

მეშვიდე ფურცელი

24.06.00. მერის ასაკში (ახლა 12 წლისაა) გოგონებს ხშირად “არასრულფასოვნების კომპლექსი” (“inferiority complex”) უჩნდებათ. მე მგონი მერის სხვა პრობლემა აქვს, აშკარად გამოხატული “სრულფასოვნების” კომპლექსი (“feriority complex”) აქვს. თუმცა რას ერჩი, ალბათ გენების ამბავიცაა (აღარ გავაგრძელებ, თორემ მომხვდება...).

23.02.00. ტელევიზორში “მონა ლიზას” შესახებ ფილმს უჩვენებენ. დიმას ვასწავლით მონა ლიზას ავტორის ვინაობას. ბოლოს გვეუბნება დავიმახსოვრეო, დამანებეთ თავიო. “დონალდო დავინჩის” ეძახის... ამას წინათ ამერიკელი გავიცანით, გვარად მაიკელსონი. დიმამ სასწრაფოდ გადაითავისა ახალი ნაცნობის გვარი, “მაიკლჯეკსონს” ეძახის.

ამას წინათ დიმას პატარა მანქანა აჩუქეს, შიგნით დორაემონი, მულტფილმის საყვარელი პერსონაჟი ზის რულთან. თავად ძალიან გაიხარა და მოუნდა ჩემთვისაც სიურპრიზი გაეკეთებინა, რომ მეც მომწონებოდა ასეთი კარგი სათამაშო. მოიფიქრა რომ მე რომ მოვიდოდი სახლში, სინათლე ჩაექრო, ახალი მანქანა ერთ ხელში დაეჭირა ფანარი მეორეში და ამ ფანრით მანქანა ზემოდან ცერემონიულად გაენათებინა (ალბათ რამე მსგავსი რეკლამაში ნახა?). მოკლედ სრულფასოვანი პერფომანსის დადგმა უნდოდა და მთელი დღე ჩემი მოსვლისათვის ემზადებოდა, ვარჯიშობდა.

მოვედი, აღელვდა, აჩქარდა და... ფანარი ვეღარ იპოვა, დაავიწყდა სად ატარებდა ბოლო რეპეტიციას... ატირდა ცხარე ცრემლით. მოგვიწია მთელ ოჯახს ფანრის ძებნა. ანამ მონახა და დიმას დიდი მადლობაც დაიმსახურა. მერე დიმამ მე მთხოვა ახლად მოვსულიყავი სახლში. მოკლედ მომიწია სახლში მეორედ შემოსვლა და მთელი წარმოდგანის ცოცხლად აღქმა. მეც აღტაცების გამოხატვა არ დავიშურე. დიმამ ძალიან გაიხარა. დიდ ხანს იყო ეს მანქანა დიმას საყვარელი სათამაშო.

22.05.00. ამას წინათ სადილის დროს ჭიქა გატყდა. მე ანდაზა გამახსენდა და გადავწყვიტე რომ ბავშვებს სიბრძნე გავუზიარო.
“- კოკა წყალზე ტყდება“, ღრმამნიშვნელოვნად ვუთხარი და კმაყოფილად გადავხედე. დადი დაინტერესება ვერ დავინახე ამ სიბრძნის აღქმაში და ახსნა დავუპირე.
“- კოკა” რა არის იცით? - ვკითხე.
საკმაოდ ხანგრძლივი პაუზის მერე ანამ “ვიცი”-ო.
”- ჰოდა, მიხვდი აზრს?”
”- არა.”
“- რატომ? კოკა რა არის მითხარი.”
“- როგორ რა? კოკა-კოლა...“
მოდი და აუხსენი ახლა ამათ ქართული ანდაზის სიბრძნე.

10.06.00. იაპონური ძალიან საინტერესო ენაა. ნელ-ნელა შევეჩვიეთ, მთელი ოჯახი ჩემს გარდა უკვე თავისუფლად ლაპარაკობს. ბევრი რამის გამოხატვა იაპონურად უფრო მოხერხებულად გამოდის, განსაკუთრების ეს იმ შემთხვევებს შეეხება როცა ვითომ გინდა რომ კითხვას უპასუხო, მაგრამ საპასუხო არაფერი გაქვს, ან რაღაცისათვის განსაკუთრებული მადლობის გამოხატვა გინდა და ა.შ. იმდენად შევეჩვიეთ იაპონურის ჩართვას ლაპარაკში, რომ ვერც კი ვამჩნევთ. ამიტომ ასეთი რაღაცეებიც მოგვდის...

ნატოსთან ერთად საღამოთი ბალკონში ვზივართ და ლუდს ვწრუპავთ (უფრო ნატო წრუპავს, მე ვსვამ). ლაპარაკიც ნელ-ნელა მიგორავს. ჰოდა მიგორდა იქამდე რომ ადამიანებს მეტად განსხვავებული ტემპერამანტი აქვთ. მაგალითისთვის ნატომ ბავშვობის გრემი გაიხსენა. იქ მეზობლად სიდა და ჩიტო ცხოვრობდნენ, ცოლ-ქმარი. ჩიტო სწრაფი ყოფილა, უცებ აკეთებდა ყველაფერს, სიდა კი ძალიან ნელი. ერთხელაც, (აქედან ნატოს პირდაპირი ლაპარაკი):

"- ჩიტო ვენახში მიდიოდა, სიდას დააბარა ქათამი დაკალიო ჩემს მოსვლამდე. მოიარა ვენახი, დაბრუნდა შინ და სიდას ეკითხება, "სიდავ, ქათამი-ვა?" სიდა კი პასუხობს " ჩიოტტო ნე..." (იაპონური-ქართული, "სიდავ, ქათმის რა ქენი" - "რა ვიცი აბა...").

ასე რომ კახეთის სოფლებში ოდითგანვე სალაპარაკოდ იაპონურსაც იყენებდნენ.

ნაგამაჩი, სენდაი, იაპონია, 2000 წლის მაისი

მერვე ფურცელი

11.06.00. დიმას რასაკვირველია თამაში უყვარს და რასაკვირველია ყოველთვის გამარჯვებული უნდა რომ გამოვიდეს. ამიტომ "ჟილკობს" საშინლად. ამას წინათ ვეთამაშები მაგიდის თამაშს, კამათელს აგორებ და მიდიხარ მიზნამდე შესაბამისი რაოდენობის პოზიციებით. გზად სხვადასხვა პრიზები და ან ხიფათები გხვდება. პრიზს მაშინ იგებ თუ ზუსტად იმ პოზიციაზე მიხვედი სადაც ეს პრიზია მონიშნული, თუ ზედ არ დადექი და "გადაახტი" დარჩები უპრიზოდ. დიმა ამას რასაკვირველია არ ითავისებს, მთელ პრიზებს მოხვეტავს ხოლმე გზად და ჩვენს პროტესტებს უგულებელყოფს. მაგრამ აბა გაბედე და შენც შეგეშალოს და პრიზი უკანონოდ აიღო!

თვლა ექვსამდე მშვენივრად იცის, მაგრამ თუ დასჭირდა უცებ "შეეშლება" რომ ცუდ პოზიციაზე არ მოხვდეს. შენ კი არ გაპატიებს შეცდომას, დაგითვლის და დაგაბრუნებინებს სვლას.

მოდი ჭკუას ვასწავლი მეთქი, გადავწყვიტე. დიდი ხანი ველოდე შემთხვევას როცა ერთნაირი ადგილიდან ჯერ დიმამ გააგორა ისე რომ "ცუდ" ადგილზე უნდა მოხვდრილიყო და მერე მეც იგივე დამემართა. ჰოდა, დიმას "შეეშალა" და გადაცდა ცუდ ადგილს, ჩემმა გაპროტესტებამ არ გაჭრა, ასე არის საჭიროო, მითხრა. კარგი. მეც იგივე ქვა გამიგორდა და მეც "შემეშალა", გვერდში მივუყენე ჩემი ღილაკი, "ცუდ" ადგილს ავაცილე.

"- სორევა დამე! (იაპონური: ასე არ შეიძლება!), მეუბნება.

"- ამის წინ შენც ხომ ასე გააკეთე" ვეუბნები.

"- სორევა დაიჯობუ, ბოკუჭან ჩიჩაი დეს კარა!" (იაპონური: მაგას არა უჭირს, მე ხომ პატარა ვარ!) მეუბნება.

მიდი და ეკამათე, მართლაც ჯერ პატარაა.

27.08.00. დიმას ახალი ამხანაგი ირანელი გოგოა, სახელად აიდა. მის სახელზე სულ ბებიაჩემის ამნერისი მახსენდაბა. ძალიან თავნება და თავშეუკავებელი არსებაა. მარტო დიმას მოთმინების და გაგების კაცს შეუძლია მასთან თამაში და საერთოდ

ურთიერთობა. მაგრამ აიდა მაინც ახერხებს დიმასთან წაჩხუბებას. ერთხელაც ძალიან გაუბრაზდა, რაზე ახლა ისტორიას აღარ ახსოვს. მაგრად წაეჩხუბა, ისე რომ მოსდო კიდევაც ყბაში. დიმას ცრემლები და ტუჩიდან სისხლი ერთად წასკდა. ატყდა ალიაქოთი. ირანელ დედას კინაღამ გული წაუვიდა, აიდას თვითონაც შეეშინდა, ტირის. დიმაც ცხარედ ტირის - მოკლედ კატასტროფა.

ნატომ დიმა სასწრაფოდ სახლში გააქანა, სისხლი მობანა, ცივი ტილო დაადო და დიმაც დაწყნარდა.

ცოტა ხანში, ალბათ 15-20 წუთში, გამოგვეცხადა სახლში ირანული დელეგაცია აიდას და დედამისის შემადგენლობით ბოდიშის მოსახდელად. ნატომ კარი გაუღო და დაზარალებულს დაუძახა. ის იყო აიდას გამზადებული საბოდიშო მოხსენების წარმოთქმა უნდა დაეწყო რომ დიმამ ხელი გადახვია აიდას და გახარებულმა "-ასობინი ქიტტე კურეტანო?" (იაპონური: ჩემთან სათამაშოდ მოხვედი ხომ?) უთხრა და თავის სათამაშოებთან ოთახში წაიყვანა.

საღამოს აიდას მთელი ოჯახობა გვეწვია, მამამ ტკბილეული მოგვიტანა და ბოდიშები მოგვახსენა კიდევ ერთხელ. ასე დამთავრდა ქართულ-სპარსული ინციდენტი იაპონიაში.

ნაგამაჩი, სენდაი, იაპონია, 2000 წლის 22 სექტემბერი

მეცხრე ფურცელი

28.08.00. ჩვენი სახლის ეზოში საკმაოდ ბევრი ბავშვია. დიმას ასაკის ბავშვები ძირითადათ გოგოებია. ზემოთხსენებული ირანელი აიდას გარდა, კიდევ ორი იაპონელი გოგოა. დიმას რბილი ხასიათის გამო სამივეს დიმასთან ურჩევნია თამაში და ერთმანეთში დიმას ვერ იყოფენ. დიმა კი ცდილობს არავის აწყენინოს, ამიტომ როგორც კი თამაშს ერთ გოგოსთან "გააწყობს", სხვებსაც ეძახის, რაც, რასაკვირველია, პირველის საშინელ რისხვას იწვევს. კარგ შემთხვევაში ასეთი ამბავი ცრემლებით მთავრდება, მაგრამ ხშირად ჩხუბამდეც მიდის. დიმას არ ესმის საქმის ასეთნაირად განვითარების მიზეზები და ცდილობას ყველა დააწყნაროს, რაც უფრო დიდ უკმაყოფილებას იწვევს ქალების რიგებში. ბოლო დროს სიტუაცია მეტად დაიძაბა, მაგრამ მომავლის იმედი მაინც გვაქვს. ერთი იაპონელების ოჯახი უკვე გადადის სხვაგან საცხოვრებლად, მგონი მეორეც აპირებს გადასვლას და დარჩება ჩვენი დიმა აიდას განუყოფლად.

ამ მეზობლის გადასვლასთან დაკავშირებით ასეთი ამბავი მოხდა:

იაპონელებს ტრადიცია აქვთ, როდესაც სხვა ადგილზე საცხოვრებლად გადადიან, ძველ მეზობლებს ჩვეულებრივ ჩუქნიან სამახსოვროდ პატარა სუვენირებს. ამას წინათ დიმას ნაცნობი გოგოს ოჯახი რომ გადადიოდა, გოგონამ დიმას ცხვირსახოცი მოუტანა საჩუქრად. დიმას ძალიან ესიამოვნა საჩუქარი (უფრო ალბათ თვითონ ჩუქების პროცესით დარჩა კმაყოფილი) და თვითონაც მოინდომა რამე სამაგიეროდ ეჩუქებინა. დაფაცურდა, ეცა აქეთ - იქით, ბოლოს შემოსასვლელში გავარდა და... თავისი ფეხსაცმელი მოურბენინა გოგონას. ახლა ისიც უნდა ვთქვა, რომ ეს ფეხსაცმელი საკმაოდ ძველი იყო და ნატოს გადასაგდებად ჰქონია ცელოფანში ლამაზად გახვეული, თუმცა დიმამ ეს არც იცოდა. ისიც უნდა აღინიშნოს რომ იაპონიაში საჩუქარი ღვთისაა და უარის თქმა დაუშვებლად ითვლება. ჰოდა უნდა გენახათ გოგონას დედა: საცოდავი ვერც უარს ამბობდა და თან ძველი და ჭუჭყიანი ფეხსაცმლის წაღებაც არ ეხალისებოდა. ერთადერთი რისი თქმაც შეძლო:

"- უი, ალბათ პატარა ექნება ეს ფეხსაცმელიო ჩემს გოგოს"...

ნატომ განმუხტა სიტუაცია, მოიბოდიშა, ძველი ფეხსაცმელი გამოართვა და დამალა.

საღამოს კი დიმამ გოგონას ფლომასტერები აჩუქა ცხვირსახოცის სანაცვლოდ.

სენდაის შემოგარენი, 2000 წლის ივნისი

მეათე ფურცელი

01.09.00. დილით ყველანი ერთად ვსაუზმობთ. ჩვენი კოლექტივი ნამეტანი ჭრელია, ზოგს ჩაი მოსწონს, ზოგს კაკაო, ზოგს ყავა, თან ხანდახან პრიორიტეტებს ვიცვლით. ამიტომ ვინ რას დალევს წინანწარ უცნობია და უშუალოდ დალევის წინ დაზუსტებას მოითხოვს. ისიც მოგეხსენებათ, რომ ყველა სასმელის დამზადებისას უბრალოდ ადუღებული წყალია საჭირო: ჩაი პარკებშია, კაკაოც გახსნადია ყავასავით.

ჰოდა ახლა წარმოიდგინეთ, მაგიდასთან ვზივართ, ხმაურია - მერი რაღაცას ყვება, ანა ეკამათება, დიმა თავისთვის ბუზღუნებს, მე ვცდილობ ამინდის პროგნოზს მოვუსმინო ტელევიზორში და პულტით ხმას ვუწევ... ამ დროს მაგიდას ნატო უახლოვდება ჩაიდანით და იწყებს გარკვევას ვინ რას დალევს.

“- ანა! ჩაი თუ კაკაო?“

“- ჩაი!”

“- ჩააიი” - ამბობს ნატო და თან ასხავს ანას ფინჯანში მდუღარე წყალს.

“- მერი! მისმინე. აქეთ მისმინე! ჩაი თუ კაკაო?” - ეკითხება მერის ნატო.

“- ჩაი” - წამიერი ჩაფიქრების შემდეგ ეუბნება მერი.

“- ჩააიი” - ამბობს ნატო და ახლა მერის ფინჯანში ასხავს მდუღარე წყალს.

“- დიმიკო, ჩაი გინდა თუ კაკაო? დიმა, მისმინე! კაკაო თუ ჩაი?”

“- კაკაო.”

“- კაკაო” - ამბობს ნატო და უსხავს დიმას ფინჯანში მდუღარე წყალს.

“- მამას ყააავა”- მისხავს ჭიქაში მდუღარე წყალს, “ და... მეც ჩააადიიი” - ისხავს ფინჯანში მდუღარე წყალს და მოვალეებამოხდილს მიაქვს ჩაიდანი უკან სამზარეულოში.

11.09.00. ამას წინათ ახალ ამბებში საქართველოს შესახებ ინფორმაცია იყო. რაღაც ტურისტულ ფირმა ახსენეს, “თამუნია” ეწოდებოდა. დეტალები აღარ მახსოვს, არცა აქვს მაგას მნიშვნელობა. საღამოს ვუყვები ამ ამბავს ნატოს.

“- ხომ არ გახსოვს ეგეთი ტურისტული ფირმა თბილისში, “თამუნია” ქვია?”- მეთქი.

“- ჰო, რაღაც ეგეთი *ქანჯები* (იაპონური იეროგლიფები) მახსენდება...” მიპასუხა ნატალიამ თავის ფიქრებში გართულმა.

ნაგამაჩი, სენდაი, 2000 წლის სექტემბერი

მეთერთმეტე ფურცელი

20.10.00. საღამოა, მე და ნატო ჩაის ვსვამთ. გოგოებს ტელევიზორი ძლივს გამოვართმევინეთ და სიჩუმეს მოწყურებულები ველოდებით როდის შეწყვიტავს მერი ტრაკატრუკს. ინფორმაციისათვის "ტრაკატრუკი" (ნატოს გამოგონებული ტერმინი) არის სწრაფი ლაპარაკი, როგორც წესი იაპონურად, უმნიშვნელო თემაზე, გოგოების მიერ უდროოდ წამოწყებული და ხელისშემშლელი. მერი არ ჩერდება, განაგრძობს ტრაკატრუკს და რაღაც მომენტში ანა ხვდება მოსი მონოლოგის უსასრულობას და აზრმოკლებულობას. ამიტომ ცდილობს თავისი სიტყვა "ჩადგას". ამაზე მერის სწრაფი რეაქცია მოსდევს:
"-რა სულ შენ უნდა ილაპარაკო!? დამაცალე მეც კი მინდა ორიოდე სატყვა ვთქვა!" - მკაცრად აწყვეტინებს ანას მერი და თავის ტრაკატრუკს აგრძელებს.
ანა ჩაჩუმდა, ჩვენ ჩაის ვსვამთ წყნარად. მივეჩვიეთ.

23.10.00. როდესაც დიდ ხანს იმყოფები საზღვარგარეთ და გამუდმებით გესმის უცხო ენაზე ლაპარაკი, როგორც წესი ახალი სიტყვები აღარ გაკვირვებს და წყნარად აღითქვამ: არ გებადება მოთხოვნილება მაშინვე გაიგო ახალი სიტყვის აზრი. ხშირად მოლაპარაკესაც კი არ აჩერებ შენთვის უცნობი სიტყვის აზრის გასარკვევად, დააცლი და მერე ლაპარაკში თვითონ მიხვდები რა ჰქონდა მხედველობაში. მოკლედ არც თავის უცოდინრობას ავლენ და არც მოლაპარაკეს აწუხებ; დარწმუნებული ხარ იმაში რომ ახლო მომავალში ყველაფერი თავისით გაირკვევა. ამასთან ერთად ჩვეულებრივად აუღელვებლად იქექები საკუთარ მეხსიერებაში, ცდილობ ფრაზები გაიხსენო, სადაც უცნობი სატყვა შეიძლება შეგხვედროდა.
თვითონ რომ ლაპარაკობ ხანდახან საკუთარი ენის სატყვები გავიწყდება, განსაკუთრებით ის, რომელსაც იშვიათად ხმარობ. ამ დროს სასწრაფოდ ეძებ შემცვლელ სიტყვას ნებისმიერ სხვა ენაზე, რომ დროზე დაამთავრო აზრი. ხშირად ასეთ მომენტებში ახალი სიტყვები იბადება, რომლის აზრის გაგება მომსმენს თავიდან უჭირს. მოკლედ, ვერთობით... ამასთან დაკავშირებით რამდენმე

შემთხვევა მაგონდება და მომავალშიც იმედია კიდევ იქნება რამე მსგავსი. მაგალითად:

დიმა, ნატო და მე სენდაის შემოგარენში ერთ-ერთ ბაღში ვსეირნობდით. ნატომ ხელით რომანტიკულად დიდი წრე მოხაზა და მითხრა:

“- შეხედე რამდენი შალიშია ირგვლივ!“.

მე მიმოვიხედე, მაგრამ ლაქაშის და ხეების მეტი ვერაფერი დავინახე. ალბათ რამე ადგილობრივ ბალახზე ან ყვავილზე მელაპარაკება მეთქი, ვიფიქრე და რბილად ვცადე გარკვევა:

“- მოიცა, აბა რომელია შალიში?”.

”- როგორ ვერ ხედავ? სულ ყველგან შალიშია”.

დავიწყე სიტყვის ბრუნვა თავში და ბოლოს მოვიფიქრე რომ ლაქაშს ხშირად რუსულად “камыш”-ს ეძახიან (სინამდვილეში კი “рогоз”-ი ქვია, მაგრამ ხშირად ეშლებათ). როგორც გაირკვა, ნატო ზუსტად მაგას გულისხმობდა. “-ეგ თუ შალიშია, ხეები ალბათ კირიოზებია, არა?” - ავუბი მხარი ნატოს (“Берёза”-s ნაცვლად).

მახსოვს ერთხელ დილით გავიღვიძეთ, მაშინ ფუტონებზე (მატრასებზე) გვეძინა, იატაკზე, ნამდვილი იაპონელებივით. ჩემი ჩუსტები რატომღაც ნატოს მხარეს იყო. ხო და მეც, ფეხშისველა სიარულს ნეტოზე გადაძრომა ვარჩიე. უხერხულად გამომივიდა და ნატოს ოდნავ გავარტყი.

“- Ты чего меня синячишь?” მეუბნება.

ორივეს ძალიან მოგვეწონა ახალი სიტყვა. ბევრი გამოყენება ვუპოვეთ პოეზიაში თუ პროზაში: “не синячу, не зову, не плачу…”, “по утрам ты меня не синячь…”, “синячит, значит любит…”, “лучше семь раз насинячить, чем один раз насвинячить“ და მისთანები. სიცილით მუცლები აგვკივდა. სადღაც 15 წუთში ფანტაზიები მე დავასრულე ასეთი ფრაზით: “из сердца вон - синяк домой” (???!!!)”. ამის შემდეგ უკვე აღარ შეგვეძლო სიცილი, ვიკეცებოდით.

მეთორმეტე ფურცელი

11.12.00. ღამით დიმას უყვარს ჩვენს ლოგინში გადმოსვლა. მე და ნატო შეძლებისდაგვარად, მაგრამ წარუმატებლად, ვეწინააღმდეგებით ამ მოვლენას. დიმამ იცის რომ ჩვენს ლოგინში გადმოსვლა აკრძალული აქვს, მაგრამ ძალიან უნდა. ამიტომ ასე იქცევა:
ღამეა, ვიძინებთ. ისმის საკმაოდ ხმამაღალი, "საქმიანი" ნაბიჯები ჩვენი ლოგინისაკენ (ვითომდა უნებლიედ გვაღვიძებს). შემდეგ, როცა ლოგინის ჩემს მხარეს აღმოჩნდება, "გაიკვირვებს" რომ მე აქამდე არა მძინავს და გადაწყვიტავს რამეთი გამართოს, რაიმე საქმეზე მელაპარაკოს:
"- ა, მამიკო, არ გძინავს?..." და ამას მოსდევს, მსჯელობა ან ნანახ ფილმზე, ან კომპიუტერის თამაშზე ან კიდევ რა ვიცი რაზე. რა ვქნა, ხომ არ გავაბრუნებ საქმეზე სალაპარაკოდ მოსულ კაცს! გავიწევი, დავაწვენ ჩემთან. უმალვე ლოგინის შუაში გადაძვრება და ცოტა ხანში უკვე ძინავს მე და ნატოს შორის. დავარქვით "მალჩიკ-ხმალჩიკ".

25.12.00. ჩვენ რომ გვასიამოვნოს მერი ცდილობს ქართულად გველაპარაკოს. იაპონური სიტყვები და გამოთქმები პირდაპირ გადმოაქვს ქართულში. ასე მაგალითად იაპონურში არის სიტყვა "ქირეტა". ქართულად ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობა არის გაჭრა. მაგრამ იაპონურში ამ სიტყვას ძალიან ბევრ განსხვავებულ შემთხვევაში ხმარობენ, დაწყებული ცეცხლის ჩაქრობიდან და დამთავრებული ტელეფონის ლაპარაკის დამთავრებით. შესაბამისად მერისგან ხშირად გვესმის "ცეცხლი გავჭერი" ან "ტელეფონი გაიჭრა" და მისთანები.
ამას წინათ ეტყობა ჩვენი ლაპარაკიდან გაიგო როგორ ვამბობდით ვიღაცაზე "სუფთა იდიოტიაო", გადახარშა თავისებურად და უკვე სხვა ვიღაცაზე გვეუბნება: "ის ვიღაცა გარეცხილი იდიოტია".
დიმასთან ერთად კომპიუტერზე ვთამაშობთ მოძრავ თამაშებს: მთავარ გმირს ვარბენინებთ, ვახტუნავებთ, ვაბრძოლებთ... როდესაც რამე არ გამომდის

უნებლიედ წამომცდება: " ამის დედა ვატირე!" დიმამ ეს დაიმახსოვრა და რამე რომ არ გამომივა მეკითხება: "ამიდედა ვატიე?"

26.12.00. დიმა ძალიან ელოდებოდა თოვლის პაპას. მერიკოს ერთი თვით ადრე წერილი დააწერინა თავისი სურვილებით - მულტფილმების ვიდეო უნდოდა საჩუქრად. მერე ცდილობდა კარგათ მოქცეულიყო და არაფერი დაეშავებინა - ჩვენ ვუთხარით რომ ცუდ ბავშვებთან თოვლის პაპა არ მოდის. ბოლო კვირის განმავლობაში კი იმ საჭმელებსაც კი ჭამდა, რომლებსაც ადრე ვერაფრით შეაჭმევდი: ლობიოს, ღომს და ა.შ. მოკლედ გაიწირა კაცმა თავი საჩუქრისათვის.

ნაგამაჩი, სენდაი, იაპონია, 2000 წლის დეკემბერი

მეცამეტე ფურცელი

15.01.01. იაპონიაში ძალიან პოპულარულია საბავშვო თამაში “ჯან-ქენ-ბომი”. ორი ან მეტი მოთამაშე ერთდროულად გაიშვერს ხელს ან შეკრული მუშტით (“გუ”, ქვა) ან ყველა გაშლილი თითებით (“ფა“, ფურცელი), ან ორი გაშლილი თითით (“ჩოქი”, მაკრატელი). ქვა უგებს მაკრატელს, მაკრატელი უგებს ფურცელს და ფურცელი უგებს ქვას. მე მგონი ჩვენთანაც იყო ეგ თამაში, ყოველ შემთხვევაში რუსეთში ნამდვილად თამაშობდნენ ბავშვები მასეთნაირად, მაგრამ იაპონიაში ყველაფერი უფრო სერიოზულადაა. აქ ხშირად არაბავშვური საკითხებიც კი, სადაც არჩევანი აშკარა არ არის, ამ თამაშის მეშვეობით წყდება. ყოველ შემთხვევაში პოპულარული ხუმრობაა რომ აქაური მეტეოროლოგები ამინდის პროგნოზს სწორედ ამ თამაშის შედეგების საფუძველზე აცხადებენ. ბავშვებში კი ეს თამაში იმდენადაა მოდებული, რომ ალბათ ხუთი წუთიც არ გავა რომ რაიმე საკამათო საკითხის თაობაზე “ჯან-ქენ-ბომი” არ გამართონ. ვინც მოიგებს ის არის “ქაჩი”-მოგებული, ვინც წააგებს ის - “მაქე”.

დიმამაც გაიგო ამ თამაშის შესახებ. თავიდან აზრს ვერ მიხვდა და უბრალოდ ხელის ჩვენება ეგონა მთელი თამაში. ამ ბოლო დროს მიხვდა “ქაჩის” და “მაქეს” აზრს და კიდევაც გაარკვია ვინ ვის უგებს. მოინდომა ჩვენთან თამაში, უფრო სწორედ მოინდომა მოგება. სხვა თამაშებში მოსაგებად “ჟილკობს“ რაც ძალა და ღონე აქვს, მაგრამ ამ თამაშში აბა რას იჟილკებ? შედეგი ასე ვთქვათ პირდაპირ სახეზეა. ამიტომ დიმამ მოსაგებად ახალი სტრატეგია შეიმუშავა: წინასწარ მიგვითითებს რომელი ფიგურა უნდა ვაჩვენოთ და თვითონ ამ ფიგურაზე ძლიერს უჩვენებს. თუ შეთანხმება დაარღვიე და მოუგე, ეს არ ითვლება. ისევ აგიხსნის რა უნდა გეჩვენებინა და მეორედ გეთამაშება. მეორედ თუ “შეგეშალა”, ისევ აგიხსნის და ა.შ. სანამ საბოლოოდ სასურველ შედეგს არ მიაღწევს. ყველაზე დიდ ხანს მერიკოსთან თამაშობს, ჩვენ ადრევე ვნებდებით.

28.02.01. ვუყურებ ამერიკულ ფილმს. საშინელება ტრიალებს: რაღაც ფეთქდება, ისვრიან, ყველაფერი იწვის და ა.შ. ნატო და ბავშვები სხვა ოთახში “მშვიდობიან”

იაპონურ დრამას უყურებენ. დიმა წარამარა შემორბის ჩემთან, ალბათ “კაცური სოლიდარობის” გამოსამჟღავნებლად. შეხედავს საშინელებებს და გარბის უკან, ეშინია. ერთხელაც მომიტრიადა და მეუბნება:
“- მამიკო, ძალიან საშინელი თუ იქნება, იქით გამოდი, ჩვენთან”.

02.03.01. მერიმ ნამცხვრების გამოცხობა ისწავლა, აცხობს გაუჩერებლად. მეც კი გამატანა სამსახურში. მოვედი და ვუთხარი:
“- ჩემს თანამშრომლებს ვაჭამე და ძალიან მოეწონათ” მეთქი.
გაბრწყინდა ქალი, მაშინ უფრო მეტს გამოვაცხობო. მე მგონი მალე კარაქის პრობლემას შექმნის იაპონიაში...
ჩაის ვსვამთ. მერი, როგორც ყოველთვის, ტრაკატრუკობს თავის სიკარგეზე. თავის რომელ მხარეს იქებდა იმჯერად აღარ მახსოვს. იმდენად მივეჩვიეთ, რომ ყურედღებას აღარ ვაქცევთ, უბრალოდ თავს ვუქნევთ. ამჯერად მერი ნამეტანი როლებში შევიდა, ანამ ველარ გაუძლო და თქვა:
“- ღმერთო, რა ბედნიერი ვარ რომ მერის და ვარ!”
გავითიშეთ.

დიმა დაგვიაჭკაცდა. ამას წინათ ქალებთან ერთად მაღაზიაში იყო წასული. “სეილი” იყო და დიდ რიგში მოუწიათ ცდა. ცოცხალი თავით არ დათანხმდა ქალების ტუალეტში შესულიყო დედასთან ერთად. ჩაიფსა, მერე ცხარე ცრემლით ტიროდა.
მეორე დღეს ნატოსთან ერთად მერის სკოლაში წავიდნენ და იქ ნატომ დიმა ბიჭების ტუალეტში მარტო შეუშვა! დიმას კმაყოფილი სახე უნდა გენახათ იქიდან რომ გამოვიდა: მარტომ! მოფისა!! კაცების ტუალეტში!!!

მეთოთხმეტე ფურცელი

23.04.01. ბიბლიოთეკაში რუსული წიგნები ავიღეთ, მათ შორის "სამი მუშკეტერი", ჩემი საყვარელი წიგნი. კვირა დღეა, მე ვზივარ წიგნს ვკითხულობ, ნატო რაღაცას კერავს და დიმა არის დაუსაქმებელი, არავინ არ ეთამაშება. ითმინა, ითმინა და დააპირა საქმის გარჩევა. მოვიდა და მეუბნება,
"- აბა მაჩვენე რას კითხულობ-ო".
ვაჩვენე. კითხვა ცოტა ხნის დაწყებული მქონდა, სულ რამდენიმე ფურცელი მქონდა წაკითხული.
"- საიდან საით კითხულობ?" მეკითხება.
არ მიკვირს, ვუჩვენებ. იაპონური წიგნები ზოგი ზევიდან ქვევით იკითხება, ზოგი უკნიდან წინ.
"- ესე იგი, ასე ცოტა წაიკითხე და ამდენი ბევრი დაგრჩა წასაკითხი?", აზუსტებს. დავუდასტურე.
"- მაშინ ჯობია ახლა უკან წაიკითხე და მერე ვითამაშოთ-ო" მეუბნება.

04.06.01. მე და ანას ნატო ობენტოებს (იაპონური საჭმელი ჩადებული ყუთში) გვიმზადებს სამსახურში და სკოლაში წასაღებად, სადილზე მივირთმევთ. დიმამაც მოითხოვა ობენტოები თავისთვის. ნატოს მაინც რჩება პროდუქტები ჩვენს მერე, ამიტომ უპრობლემოდ აკმაყოფილებს დიმას ამ მოთხოვნას: დარჩენილ საჭმელებს დიმას ყუთში ალაგებს. მართალია დიმა სადილამდე ვერ ითმენს და სადღაც დილის 10 საათიდან უკვე მზადაა რომ თავისი ყუთი დააცარიელოს. კვირაში ორჯერ მე და ანას ობენტო არ გვჭირდება, ნატოს ვასვენებთ, საჭმელს ჩვენს სასადილოებში ვჭამთ. ამაზე დიმა აცხადებს მტკიცე პროტესტს და მოითხოვს რომ ნატომ პირადად მისთვის ობენტო მაინც დაამზადოს. აბა სასადილო ხომ არა აქვს კაცს!

14.07.01. დიმამ ინგლისურ საბავშვო ბაღში დაიწყო სიარული. ძალიან სეროზულად მოეკიდა ამ საქმეს, მოსწონს. ბაღში დიმა პოპულარულია

(განსაკუთრებით გოგოებში), როცა დამშვიდობების დროა თურმე ერთი ამბავი ტრიალებს: ყველას გოგოს უნდა რომ დიმას პერსონალურად დაემშვიდობოს. ჩვენ უფრო იმიტომ შევიყვანეთ რომ, ასე ვთქვათ კოლექტივს შეეჩვიოს, ინგლისურის შესწავლის იმედი მაინცა და მაინც არ გვქონია. მაგრამ კაცი რაღაცას იმახსოვრებს. ამას წინათ ცუდი ამინდი იყო, წვიმდა, დიმაც ვერ იყო მთლად ჯანმრთელი, აცემინებდა და ნატომ შესთავაზა, მოდი დღეს სახლსი დარჩიო. დიმამ შეიცხადა: “He is absent-ნი ნარიტაქუნაი, I am here-ნი ჰოშიი -ო” (“არ არის-ო” არ მიდა გავხვდე, “აქა ვარ,” მინდა ვიყო).

ვეკითხებით, აბა გვითხარი რა ისწავლე.

“- How are you today?”- გვეუბნება.

ჰოდა “how are you today?” ვეკითხებით, ერთიანად გადმოალაგებს: “- I am fine, I am OK, I am not so good…”. კიდევ ისწავლა:

“- May I go and drink water?” და “May I go to toilet?” და სახლშიც ასე კულტურულად, უცხო ენაზე გვატყობინებს თავის სურვილებს. მოკლედ გაგვიხდა უგზო-უკვლოდ განათლებული კაცი.

27.08.01. ვიყავით ცუკუბაში ლექავებთან. ორი ბიჭი ჰყავთ, ნიკუშა და თემუკა. ნიკუშა ზუსტად დიმიტრის ხელაა. ძალიან გვაინტერესებდა როგორ შეეწყობოდნენ ერთმანეთს. მშვენივრად შეეწყვნენ. დიმა ზედაც არ გვიყურებდა, სულ ნიკუშასთან და თემუკასთან თამაშობდა. ძალიან გვართობდა სამი პატარა ქართველი ბიჭის ერთმანეთში იაპონურად ლაპარაკი. ცუკუბაში საცურაო აუზშიც ვიყავით. წყლის შიშის გრძნობა დიმას სულ არა აქვს (სიბნელის უფრო ეშინია), ისე თამამად მიძვრება წყალში თითქოს ცურვა შეეძლოს.

ცუკუბაში 17 აგვისტოს წავედით და 21-ში ღამით უკვე ჩამოვედით. თან ტოკიოში მქონდა საქმე 21-ში, ამიტომ ოჯახი ჰირაცუკაში ნაცნობებთან მივიყვანე, მე მთელი დღე ტოკიოში ვიყავი, საღამოს კი სენდაიში დავბრუნდით. დავიღალეთ. რატომ ვჩქარობდით? აბა რა გვექნა, დიმა ხომ დაკავებული კაცია. დიდი ხნით წამოსვლა არ შეეძლო!

როდესაც გადავწყვიტეთ რომ 17-დან 22-მდე სენდაიში არ ვიქნებით დიმა ცოტახანს დაღონებული და ჩაფიქრებული დადიოდა: ორი დღე უცდებოდა ბაღში (21 და 22). მერე ნატო გვერდზე გაიყვანა და უთხრა:

“- მთელი წელიწადი ერთი დღეც არ გამიცდენია საბავშვო ბაღში, ყოველდღე დავდიოდი. დავიღალე. ამიტომ გადაწყვეტილი მაქვს 21-ში და 22-ში დავისვენო. მეც ხომ მეკუთვნის შვებულება”.

დიმას საბავშვო ბაღის ჯგუფი, სენდაი, იაპონია, 2001 წლის ივლისი

მეთხუთმეტე ფურცელი



15.10.01. ხანდახან დიმიტრის მოფიქრებულობა გვაკვირვებს. გუშინ დასახურიანი სათამაშოების ჩასადები გაიკეთა. აიღო სალფეთქების ცარიელი ყუთი, ზმეიკა დაუმაგრა ორმხრივი წებვადი ლენტით და გამოუვიდა საკმაოდ ხარისხიანი საცავი. პატარა სათამაშოებს იქ ინახავს.

ამას წინათ ლეგოს პატარა დეტალები ფანჯარაში გადაუვარდა. იქვე ფანჯრის ქვემოთ პარაპეტზე დაეცა, მაგრამ ფანჯრიდან ხელით ვერ მიწვდები. სანამ ანა და ნატო ირგვლივ დარბოდნენ და ხელებს “იგრძელებდნენ” ამ ჩვენმა “ვუნდერკინდმა” მოიფიქრა რომ ჯოხზე დაემაგრაბინა ორმხრივი წეპვადი ლენტი და ნატოს გადასცა რომ ამ ჯოხით მიწვდომოდა ლეგოს კუბიკენს, მიეწებებინა ჯოხზე და ამოეღო. ყველაფერი სწრაფად და წვალების გარეშე დასრულდა.

ერთხელ ვსხედვართ მაგიდასთან და ვმსჯელობთ იმაზე რომ ანა ორ წელიწადში 18 წლის გახდება. მერი დიმას მიუტრიალდა და ეკითხება, მაგ დროს მამიკო რამდენის გახდებაო. დიმა წამით დაფიქრდა და 44-ისო, თქვა. ჩვენ გავიცინეთ, ეს რა კარგად გაარტყაო. მერი არ ეშვება:

“- დედა რამდენის გახდებაო?”.

დიმა, ისევ წამიერი ჩაფიქრების შემდეგ ამბობს “42“-სო. ამან უკვე დაგვაფიქრა. უკვე მე ვეკითხები:

“- მერი რამდენის იქნება?”

“- 16-ის”.

“- შენ???”

“- მე 8 წლის.”

ამდენის “გარტყმა” ნამდვილად არ შეეძლო, ესე იგი მართლაც ითვლის? მერე შევამოწმეთ, თურმე საკმაოდ მალე და სწორად შეუძლია დათვლა. საბავშვო ბაღში ლათინური ასოები ისწავლა, იაპონური “ანბანები” ხირაგანა და კატაკანა კარგათ იცის, თავის ასაკთან შესაბამისად ქანჯებიც ბევრი იცის. მოკლედ უნივერსალი...

29.10.01. ამას წინათ გემოზე ვიცინეთ. კვირას სასეირნოდ მივდიოდით მანქანით. მშვენიერი ამინდი იყო, მზე ზაფხულივით აცხუნებდა. წინ მე და ნატო ვისხედით, უკან ბავშვები. მზემ თვალებში შემომანათა და ნატოს მზის სათვალეები ვთხოვე. ნატომ მალევე გადმომაწოდა და მეც გავიკეთე. რაღაც მეუცნაურა, მომეჩვენა თითქოს ერთი თვალით უკეთესად ვხედავდი. ერთი-ორჯერ ავწიე კიდევაც სათვალეები. აწეულზე განსხვავება ვითომ ქრებოდა. ალბათ ცალი თვალი მზეზე მომეჭრა გავიფიქრე და საბოლოოდ ჩამოვუშვი თვალებზე სათვალეები, მივეჩვევი მეთქი.
მივდივართ. შევჩერდი შუქნიშანზე. გვერდზე გავიხედე. მეზობლად გაჩერებული მანქანიდან მძღოლმა გაკვირვებით შემომხედა. გაიხედა გვერდზე და მერე ისევ მომაჩერდა. დიდი ხანია გადავეჩვიე იაპონიაში ჩვენი დანახვისას გაკვირვებას. თავიდან, 90-იანი წლების დასაწყისში კი ბევს უკვირდა სენდაიში თეთრი ხალხის, განსაკუთრებით ბავშვების დანახვა - ცოტა უცხოელები იყვნენ, მაგრამ ბოლო დროს უცხოელები მომრავლდა და აღარავის უკვირს. “ეს ალბათ რაიმე მიყრუებული სოფლიდან იქნება, ალბათ უკვირს რომ უცხოელი რულთან ზის”, გავიფიქრე. ამიტომ თბილად გადავხედე, გავუღიმე - “გამარჯობა” მეთქი. მძღოლი გაიყურსა, გზისკენ გაბრუნდა და დაძაბულად გაშეშდა. ცოტა მეწყინა, უფრო გამიკვირდა, მერე გავიფიქრე არასტუმართმოყვარე იაპონელებიც არიან მეთქი. ვაგრძელებთ გზას. ნატომ რაღაცა შემეკითხა, მივუბრუნდი პასუხის გასაცემად და... ქალი გადაიკეცა სიცილისაგან. ვერაფერს ამბობს, კვდება სიცილით და ხელს სარკისაკენ იშვერს, ჩაიხედეო. მივიტრიალე სარკე და რას ვხედავ: სათვალის ცალი შუშა ამოვარდნილა და ჩემი სახე საკმაოდ იდიოტურ შთაბეჭდილებას ტოვებს. გახსოვთ ბულგაკოვის “მასტერ და მარგარიტაში” კატას “ბეგემოტს” ეკეთა

ცალშუშა სათვალე... საწყალი ის იაპონელი, ადრე რომ შეგვხვდა, ნეტა რა იფიქრა უცხოელებზე?

ალბათ დაახლოებით ასე გამივიყურებოდი..

მეთექვსმეტე ფურცელი

03.12.01. დიმამ თვლა დიდი ხანია ისწავლა. ამას წინათ მიმატება და გამოკლება ვასწავლეთ. მერე ნატომ აუხსნა რომ ათამდე რომ დაითლის, თუ ერთს მიუმატებს იქნება 11, ასამდე თუ დაითვლის 100+1 უკვე 101 და ასე გადადის ციფრები ერთეულებიდან ათეულებში, ათეულებიდან ასეულებში და ა.შ. დაინტერესებულად უქნევდა დიმიტრი თავს.

ამას წინათ დიმა ეუბნება ნატოს:

" -დედიკო, რაღაც ვითვლი, ვითვლი და ციფრები არ თავდებაო!..."

არისტოტელე ალბათ საფლავში გადატრიალდა.

10.12.01. დიმა თოვლის პაპას ელოდება. დიდი ხანია ელოდება, მე მგონი ზაფხულიდან. ბევრი სათხოვარი აქვს: რამდენ სათამაშოს რეკლამასაც ნახავს ტელევიზორში, იმდენი ახალი რამ უნდა...

ძალიან რომ არ გაგვიწვალოს თოვლის პაპა, ავუხსენი რომ ერთი ან მაქსიმუმ ორი სათამაშო შეიძლება სთხოვოს. ჰოდა დიმაც გულმოდგინედ ირჩევს. რაღაც ჟურნალი იპოვა, სადაც მისი საყვარელი სათამაშოებია, ფასებიც უწერიათ. სერიოზულად დაუჯდება ხოლმე ამ ჟურნალს, ათვალიერებს, ფასებს ადარებს.

ამას წინათ ვეუბნები, უკვე დროა გადაწყვიტოს, რომელი სათამაშო უნდა და თხოვნა მიწეროს თოვლის პაპას. გამიყვანა გვერდზე (საერთოდ როცა "სერიოზულ" საკითხზე მელაპარაკება, ცდილობს რომ დამიმარტოვოს და ჩუმად, ჩერჩულით მელაპარაკება, ალბათ თოვლის პაპამ რომ არაფერი გაიგოს დროზე ადრე). მეუბნება:

"- მე კი დიდი ხანია ყველაფერი გადაწყვეტილი მაქვსო, მაგრამ ჯერ არ ვამბობ-ო".

"- რატომ ნეტა?" გავიკვირვე.

"- ახლავე რომ შევატყობინო თოვლის პაპას, დაიწყებს ჩემი ყოფა-ქცევის შემოწმებას. ახალ წლამდე კიდევ დიდი დროა და რამე აუცილებლად შემეშლება, ასე რომ საჩუქარს ვერ მივიღებ. ამიტომ ორი-სამი დღით ადრე შევატყობინებ ჩემს გადაწყვეტილებას და იქ უკვე როგორმე გავუძლებ რომ არაფერი შემეშალოს."

დიდი გაძლება დამჭირდა რომ არაფერი შემტყობოდა და სერიოზული სახე შემენარჩუნებინა. ვურჩიე რომ მაინც შეძლებისდაგვარად ადრე შეატყობინოს მოთხოვნები, რომ თოვლის პაპამ საჩუქრების შოვნა მოასწროს.

13.12.01. გაირკვა რას ირჩევდა ასე საგულდაგულოდ დიმა. თურმე სულ ორი სათამაშო უნდოდა. ერთი უფრო მეტად უნდოდა და თანაც უფრო იაფი იყო. მეორე უფრო ძვირი იყო და თანაც უფრო ნაკლებად უნდოდა. ვითომ ყველაფერი ნათელია, მაგრამ ფილოსოფია აქ იწყება. იაფი კი უფრო უნდოდა, მაგრამ იმედი ჰქონდა რომ მაგას ისედაც ვუყიდით ჩვენ თვითონ. ამიტომ თოვლის პაპასათვის ძვირის თხოვნას აპირებდა. მეორეს მხრივ, ეშინოდა თოვლის პაპამ ძვირზე უარი არ მითხრასო და საერთოდ უსაჩუქროდ არ დავრჩეო. ეს ყველაფერი რომ ამიხსნა საგულდაგულოდ, რასაკვირველი საიდუმლოდ და ჩურჩულით, ვურჩიე პაპასთვის ორივე ეთხოვა და პაპა რასაც შეძლებს გააკეთებს მეთქი. ძალიან გაიხარა და დიდი პატივისცემით შემომხედა ასეთი კარგი რჩევისათვის. ეჰ, მე კი ვიცი რა შევთავაზო, მაინც ჩემი საყიდელია...

მეჩვიდმეტე ფურცელი

28.01.02. ახალი და საკმაოდ გამოსადეგი ქართული გამოთქმა ვისწავლეთ მომოკოსგან, ჩვენი აიპონელი ნაცნობისგან. მომოკო ბევრ სხვა საგანს შორის, ქართულსაც სწავლობს და დასჭირდა იაპონურიდან თარგმნილი ქართული გამოთქმები. ამ ფრაზებს შორის იყო შეკითხვა: "ხომ არ დაიღალე(თ)?", რომელიც მომოკომ გადათარგმნა შემდეგნაირად: "-ხომ არ დავიღალე(თ)?". ძალიან მოგვეწონა და ხშირად ვიყენებთ. მაგალითად, როდესაც რამის გაკეთება გეზარება დასვამ ამ შეკითხვას, დადებითად უპასუხებ და შეგიძლია დაისვენო.

დიმა კბილებს იცვლის. ნატომ ორი ქვედა კბილი მოუნძრია, მაგრამ ამოღება დიმამ არ აცალა - მეტკინებაო. მივაბით გრძელი ძაფი და ვცდილობთ რომ მოვქაჩოთ, არ გვაცლის, გარბის. ბოლოს მაინს თვითონ მოიძრო: ძაფს შემთხვევით ფეხი წამოსდო და ვერც იგრძნო ისე "გააგორა" კბილი. ახლა მეორე კბილის დრო დადგა. აქ დიმამ ექსპერიმენტის ჩატარება გადაწყვიტა. მიბმულ თოკს მეორე მხარეს ცელოფანის პაკეტი მიაბა და ამ პაკეტში წიგნებს ამატებდა სანამ კბილი არ მოძვრა. მერე მე მიხსნიდა რომ უნდოდა გაეგო რამდენ წიგნს გაუძლებდა მისი "ზებერი" კბილი.

ნატომ დიმას ასწავლა რომ იაპონური "-სან" -ის ექვივალენტი ქართულში არის "ბატონი". ამან მოგვიმატა გასართობი. სახალისოა როცა შვილი გეუბნება:
"- ქალბატონი დედიკო გეძახის".
"- ბატონი მამიკო სახლში მოდის".
"- ბატონი მამიკო უკვე ეზოში ჩავიდა" და ა.შ.

31.01.02. ასეთი ნახატი მივიღე დიმასგან საჩუქრად დაბადების დღეზე. ჩვენი ოჯახის ამსახველი ტილოა, უბრალო რამე არ გეგონოთ. ცენტრში ვინაა? სწორია, ავტორი.

17.04.02. დიმა სკოლაში წავიდა. იაპონიაში სკოლა აპრილში იწყება. ბევრ რამეს დაატარებს თან, უზარმაზარი ჩანთა აქვს. დიმას კიდევ რა უჭირს, დიდია ტანად. მისი პატარა თანაკლასელები უნდა ნახოთ როგორ არიან ახუნძლულები. ჩანთას წინა დღეს მერი ულაგებს შემდეგი დღის სიის მიხედვით. ჩვეულებრივ, წიგნების, რვეულების, ფანქრების, სახაზავების და სხვა ასეთის გარდა ჩანთაში დანა-ჩანგალი, სპორტული ფორმა, ფეხსაცმელი, მუსიკალური ინსტრუმენტი და კიდევ მერიმ იცის რა იდება.

ამას წინათ პირველად უნდა წაეღო სპორტული ფორმა. შპეციალურ პარკში იდება და ჩანთას გვერზე უკეთდება. დილით წაიღო, მერე შუადღეს მოვიდა სკოლიდან და ნატოს ეუბნება:

“- მე დღეს ფორმა უნდე წამეღო და არ მიმიტანია, ხვალ აუცილებლად გამატანეთო”.

ფორმა ჩანთაზე მიმაგრებული არ არის. ეს ფორმა სხვათა შორის საკმაოდ ძვირი ღირდა, სადღაც 100$.

“- რა იქნა ფორმა, დაკარგა? მოიპარეს?”, ეკითხება ნატო. დიმა დუმს.

ნატომ დიმა სკოლაში გააქცია. შევიდნენ კლასში, ფორმა თავის ადგილზეა, კედელზე ჩამოსაკიდზეა დაკიდებული დიმას გვარის ქვევით. მერე მასწავლებელთან გაირკვა რა მომხდარა. თურმე დილით მასწავლებელმა იკითხა:

“- აბა ბავშვებო, ფორმა ვისაც არ მოუტანია ხელი აწიეთ”.
დიმამ, თავის გამოჩენა რომ უყვარს უადგილო ადგილას, რასასკვირველია პირველმა აიწია ხელი.
“- ჰოდა”, გააგრძელა მასწავლებელმა, “- ვისაც არ მოუტანია, ხვალ აუცულებლად მოიტანოს”.
ასე გამოუვიდა დიმას რომ ხვალ უნდა მოეტანა ფორმა აუცილებლად.

დიმას პრობლემა აქვს ფეხსაცმელებთან: მარჯვენა-მარცხენა გვეშლება ხანდახან. ამას წინათ კიდევ ერთხელ შენიშვნა მივეცი, არასწორად გაცვია მეთქი.
“- ეჰ“, მიპასუხა “- არასწორად კი არა, სპეციალურად პირიქით ჩავიცვი. მინდა მივაჩვიო რომ არ განსვავდებოდნენ და მერე უკვე სულ ერთი იქნება.”

დიმა პირველ კლასში, სენდაი, იაპონია, 2002 წლის აპრილი.

მეთვრამეტე ფურცელი

18.04.02. მარტის ბოლოს თბილისში ვიყავით. ავთო-ბაბუ დილით სხვადასხვა ქაშებს გვიხარშავდა. დიმას ქაშები არ უყვარს, არ უნდოდა ჭამა. ლეილა ბებომ გადაწყვიტა ხერხი ეხმარა.
"-აი ნახე" უთხრა, "შეჭამე ეს წიწიბურას ქაში და გაიზრდები სამაღლეში".
დიმა გაზრდის მეთოდმა დააინტერესა. იქვე კედელთან გაგვაზომინა სიმაღლე და ბევრი ქაში შეჭამა. როგორც კი მორჩა ისევ სიმაღლის გაზომვა მოგვთხოვა. ცოტა მეტი "გამოვიყვანეთ". ძალიან აღფრთოვანდა. მეორე დღეს უკვე თვითონ მოითხოვა ქაში, შეჭამა და, გაგიკვირდაბათ, მაგრამ კვლავ გაიზარდა. შემდეგ უკვე თითქმის ყოველ კოვზზე იზრდებოდა. დროზე წამოვედით, თორემ მალე ჩვენი ბინის სიმაღლე ვეღარ დაიტევდა დიმიტრის.
ახლა იაპონიაში რომ ჩამოვედით, აქაც წიწიბურას ქაში მოითხოვა "გასაზრდელად". იაპონიაში წიწიბურა არ იყიდება. აქ წიწიბურასგან სპეციალურ მაკარონებს, ე.წ. "სობა"-ს ამზადებენ. ავუხსენით ეს ამბავი, ახლა სობას ითხოვს თუმცა ადრე დასანახად ეზიზღებოდა. სასაცილო ისაა რომ მართლაც საკმაოდ გაიზარდა თბილისში ყოფნისას.

13.05.02. ნამეტანი კულტურული კაცი გვეზრდება ბატონი დიმიტრი. გუშინ საღამოს ბევრი წვენი დალია, ჰოდა, მარცხი რომ არ მოგვსვლოდა, გადავწყვიტე ღამეს ტუალეტში გამეყვანა. ძინავს ღრმად, ვერ ავაყენე ფეხზე. ავიყვანე ხელში და წავიღე ტუალეტში, მივაყენე უნიტაზთან (ძინავს), მოვაფისებინე (ფსს,ფსს...,), მოფისა (ძინავს), შარვალი ავუწიე (ძინავს). ისევ ხელში ავიყვანე საწოლში წასაყვანად. როგორც კი ტუალეტის კარები გამოვიხურე, მეუბნება:
"- ახლა ხელები უნდა დავიბანო!"
არაფრით არ დამეთანხმა საწოლში დაწვენაზე სანამ ხელები საპნით არ დავბანე. ისე ხელები უფრო მე მქონდა დასაბანი, დიმას ხელიც არ გაუნძრევია.

გუშინ იაპონიაში დედის დღეს ზეიმობდნენ. დიმა წინასწარ მოემზადა ამ დღესასწაულისთვის. ინგლისურის კლასში რომ იყო გუშინწინ საჩუქარი დაამზადა. მერე როცა სახლში ბრუნდებოდნენ ნატოსთან ერთად, ეუბნებოდა:

“- ჩემს ჩანთაში არ ჩაიხედო, შენი საჩუქარი იქ არა მაქვს“.

დილით კი ნატოს ძლივს აცალა გაღვიძება, მოვარდა, თავისი გაკეთებული ყვავილები აჩუქა, ჩაეხუტა, აკოცა. მერე ცდილობდა ყველანაირად სასარგებლო ყოფილიყო, მოხმარებოდა. თავისი სკამიც კი დაუთმო: ნატო ჩვეულებრივ სამზარეულოსთან ახლოს შესასვლელში ზის, ადვილია რაღაცის გამოტანა რომ დაჭირდება. ჰოდა, დიმამ თავის სკამზე დასვა და თვითონ გოგონებთან ერთად გვემსახურებოდა საუზმეზე.

რომ ვისაუზმეთ, დიმამ შეგვატყობინა რომ ნატო აუცილებლად რესტორანში უნდა წაგვეყვანა. ამაზე რომ დაგვითანხმა, უფრო შორს წავიდა და შემოგვთავაზა ნატო “ზენილანდოში” (დისნეილენდის პატარა კოპია სენდაიში) წაგვეყვანა. ცუდმა ამინდმა გვიშველა, თორემ ამაზეც დაგვითანხმებდა. მე გავიხუმრე, ხომ არ გგონია რომ დედიკოს ახალი კომპიუტერის თამაშიც გაეხარდება-მეთქი? დიმა წამით დაფიქრდა, მაგრამ მერე სინანულით თქვა:

“-ალბათ არა, ვერ შევაჩვიე დედიკო კომპიუტერზე თამაშს.”

მეცხრამეტე ფურცელი

17.06.02. დიმას “ზაფხულის გრიპი” დაემართა (იაპონურიდან “ნაცუქაზე”, კუჭის გრიპია ერთდღიანი, კუჭის აშლა იცის, იშვიათად ღებინებით, სიცხეს იშვიათად აძლევს). ერთი დღე სახლში გვეწვა, მორჩა და სკოლაში გავუშვით მეორე დღეს. ჩვენ გაშვება არც გვინდოდა, მაგრამ თვითონ მოითხოვა დაჟინებით. თან დავაბარეთ რომ ბრინჯის ან პურის მეტი არაფერი ეჭამა, მუცელი რომ არ ატკივებოდა ისევ. მოდის სახლში, მუცელი ტკივა.

“- რა ჭამე?” ვეკითხებით.

“- ბრინჯი და ქარე.” პასუხობს.

“- ხომ გაგაფრთხილეთ...!”.

“- მოიტაინაი-ოო...” (ეს გამოთქმა იაპონურიდან საკმაოდ რთული სათარგმნია, პირდაპირი თარგმანი მგონი არც არსებობს.“დამენანა” ამ შემთხვევაში ალბათ ყველაზე ახლო თარგმანი იქნება, მაგრამ უფრო მრავლისმთქმელია იაპონურად, “ვერ გავიმეტე”, “ვერ დავთმე”...).

საღამოთი ისევ ცუდათ გახდა და მეორე დღეს ისევ სახლში დარჩა.

დადგა მესამე დღე. ისევ ვუშვებთ სკოლაში და ისევ ვაბარებთ რომ ბრინჯის გარდა არაფერი ჭამოს. თან მასწავლებლისათვის დღიურშიც იგივეს ვუწერთ. ბრუნდება სახლში, ნატო ეკითხება რა ჭამეო?

“- მარტო ბრიჯი!”, პასუხობს.

“- მეტი არაფერი?”, დაჟინებით აგრძელებს ნატო გამოკითხვას.

“- დანარჩენს არ ვიტყვი, თორემ გამიბრაზდებით-ო”, პასუხობს დიმა.

რძეც დაულევია, მანდარინიც უჭამია, მარტო თევზზე უთქვამს უარი, როგორც მერე გავიგეთ. გადავრჩით, ამჯერად არაფერი მოუვიდა.

დიმასგან გადაგვედო თუ პირიქით, მალე ყველანი ავად ვიყავით, ზოგი კუჭის გრიპით, ზოგი ყელის გრიპით, ზოგი ორივეთი ერთად. სიცხე პატარა გვქონდა (<38^0), უბრალოდ ცუდათ ვგრძნობდით თავს, ლოგინებში ვგორაობდით. ნატო გვივლიდა, მარტო მთლად ბოლოში გადაედო მასაც.

ოთხშაბათს ყველანი ერთად სახლში დავრჩით. რეკავს მარიკა (ჩვენი ამხანაგი, ქართველი, იმ დროს ისიც სენდაიში მუშაობდა). ნატო მხიარული ხმით უხსნის რომ სახლში ჰოსპიტალი გვაქვს გახსნილი და ყველანი ავად ვართ, ზოგს ყელი გვტკივა, ზოგს...

"- მოიცა, კი მაგრამ ხმა რატომ გაქვს ასეთი მხიარული?" ეკითხება მარიკა.

ნატოსათვის მთავარია რომ ჩვენ ყველანი სახლში ვყავართ მთელი სამუშაო დღის განმავლობაში. ამასთან ერთად, არაფერი სახიფათო არ გვჭირს, არაფერია საშიში. რატომ უნდა იყოს მოწყენილი?

თბილისი, 2002 წლის მარტი

მეოცე ფურცელი

22.06.02. დიდი მოაზროვნეა ეს ჩვენი მერი. ამას წინათ ანა გვიხსნიდა როგორი ბიჭი მოეწონებოდა. ბევრი მსჯელობის შემდეგ ყველაფერი დავიდა იმაზე, რომ გრძელი თმები უნდა ჰქონდეს და ბევრი ფული. მერიმ უსმინა ამ ყველაფერს და მერე ამბობს:

"- კი მაგრამ თმები რომ გასცვივა და ფული გაუთავდება რას იზამ ნეტავ?"

მერიმ დაადგინა რომ მომავალში მომღერალი უნდა გამოვიდეს. მკითხა სად ჯობია სიმღერის სწავლა. რა მეთქვა? იტალიაში, მეთქი. მეორე დღეს ბიბლიოთეკიდან ოთხი (4) იტალიურის სასწავლი წიგნი მოიტანა.

ადრე თბილისში უთხრეს რომ მის ასაკში ჯერ სიმღერის სწავლა ადრეა და სერიოზულად სიმღერაც არ შეიძლება. ამიტომ ჯერ ფორტეპიანოზე დაკვრის სწავლა აქვს გადაწყვეტილი და ხშირად აწვალებს ინსტრუმენტს და ჩვენც მაგასთან ერთად. მე, რესაკვირველია, ყველაფერს ამას ვუწონებ, მითუმეტეს რომ ხმა და სმენა საჭიროზე მეტი აქვს (სინდისზე რა მოგახსენოთ, ყოველთვის მზადაა თავისი შემოქმედებით გვასიამოვნოს).

არც ამით თავდება მერიკოს მოსაზრებები მომავალი ცხოვრების შესახებ. გადაწყვიტა რომ არდადაგებზე ნატოსაგან საჭმლის კეთება ისწავლოს. მართალია, ახლაც საკმაოდ კარგათ კულინარობს, მაგრამ როგორც ყოველთვის უნდა რომ უფრო "დახვეწოს ხელოვნება". ამ ახალ მისწრაფებაზე ასე ამიხსნა:

"- ვიფიქრე, ვიმღერებ, დავუკრავ... ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ რომ გავთხოვდე, ხომ დამჭირდება საჭმლის კეთება?!"

აი ასეთი დალაგებული ქალია.

30.09.02. ვფიქრობ ყოველ ოჯახს გააჩნია ისეთი ნივთები, რომლებიც გაცილებით ძვირი უღირს ამ ოჯახს ვიდრე თვეთონ ნივთის ფასია. სწორედ ასეთია ჩვენი ოჯახისათვის დივანი. დაახლოებით ხუთი წლის წინ ვიყიდეთ, ჯერ კიდევ ჰირაცუკის დიდ ბინაში რომ ვცხოვრობდით. იმ დიდი ბინისთვის ჩვენი მწვანე დივანი ზუსტად კარგი ზომის იყო, დიდ ოთახში იდგა. სენდაიში გადმოსვლისას

დივანიც წამოვიღეთ. როგორ მოხერხდა ამ დივანის შემოტანა ახლანდელ ბინაში ახლაც არ მესმის, ეს ოპერაცია ცალკე აღწერის ღირსია. ერთი კი უეჭველია: იმის შემდეგ რაც შემოიტენეს ეს დივანი ბინაში, ყოველგვარი ლაპარაკი ბინის შეცვლაზე შეწყდა. ამ დივანის "ცოცხლად" გამოტანა უკვე შეუძლებელი იყო. ალბათ სადღაც 80%-ით იმიტომ შევრჩით ამ ბინას, რომ დივანი უკვე შემოტანილი იყო. ეს ჩვენი "ღრმად პატივცემული" დივანი ახლა დგას ყველაზე დიდ ოთახში და ამ ოთახის ⅔ -ს მაინც იკავებს.

დიმა ღრმადპატივცემულ დივანზე.

ახლა წარმიოდგინეთ რომ ერთ უბედურ დღეს დიმას ამხანაგები ზედ დახტუნავდნენ და ჩატეხეს! მარჯვენა მხარეს აშკარად ეტყობოდა ჩაღრმავება. დაჯდებოდი - ჩავარდებოდი. მოკლედ, დიდი ხნის სიცოცხლე აღარ ეწერა ჩვენს დივანს ასეთ მდგომარეობაში და გადავწყვიტე გამერემონტებინა, აბა ხომ არ გადავაგდებდით?!
ხელოსნების გამოძახებაზე ლაპარაკიც არ იყო: გამოძახება დივანზე ძვირი დაჯდებოდა. მე თვითონ უნდა გამერემონტებინა. დიდი ხანი ვეწვალე, მოვნახე

გატეხილი ზამბარა, გამოვცვალე, დავამაგრე, მოკლედ ისევ ნორმალურს დაემსგავსა.
დიდ ხანს არ გასტანა ამ სიამოვნებამ: ხუთ დრეში, დიმას მორიგი დახტომის შემდეგ, დივანი ისევ დამტრეულ მდგომარეობაში დამხვდა. გამოცდილება უკვე მქონდა, ხელსაწყოები და დეტალები მოვაგროვე და შემდეგ კვირადღეს ისევ რემონტს შევუდექი.
დიმა დახმარებას ცდილობდა, დანაშაულს გრძნობდა, სულ ირგვლივ ტრიალებდა. ჩემს წვალებასაც ხედავდა. ერთ მომენტში, როცა კვლავ გადამიტყდა ვინტი და რამონტი ისევ თავიდან იყო დასაწყები დიმა მეუბნება:
“- მამა, მოდი თუ გინდა შეეშვი, დავტოვოთ როგორც არის და დავაწეროთ “ახლად შეღებილია!”
ბევრი ვიცინეთ. ცოტა დავისვენე და ისევ გავაგრძელე რემონტი. ისევ გამიტყდა ვინტი და ხელიც დავიზიანე.
“- კარგი,” იძახის დიმა, “თუ დაწერა არ გინდა მაშინ მე დავდგები ამ დივანის გვერდზე და ყველას ვეტყვი ხოლმე “აქ დაჯდომა არ შეიძლება!”
გავარემონტე! უკვე ათი დღეა უძლებს ჩემი რემონტი. რასაკვირველია ყველაფერი ამის შემდეგ დივანი ჩვენთვის უფრო ძვირფასი გახდა.

ოცდამეერთე ფურცელი

07.10.02. დიმა სკოლიდან უკმაყოფილო დაბრუნდა: სადილზე იაპონურად დამზადებული თევზი აჭამეს, რომელიც გამოუშიგნავად მზადდება და იაპონელები ასევე მთლიანად მიირთმევენ, სანმა ეწოდება. ჰოდა, ჩვენს ვაჟკაცს არ მოეწონა გემო, კინაღამ ცუდად გავხდიო. ნატომ აუხსნა რომ ასეთი თევზი ტვინისთვისაა სასარგებლო.

“- მამა თუ სჭამს ასეთ თევზს?“ დასვა დიმამ კითხვა.

“-არა, მამას არ უყვარს”, ვერ მოიტყუა ნატომ, “მაგრამ, მამას ისედაც ბევრი ტვინი აქვს და არ ჭირდებაო.”

“- 147 რომ 265 მივუმატოთ რამდენი იქნება იცის მამამ?” ეკითხება დიმა.

“- დიახაც იცის,” დაუდასტურა ნატომ.

“- 349-ს რომ 244 გამოვაკლოთ, ოთხზე გავამრავლოთ და მერე 766 დავუმატოთ ეგეც იცის?” არ მოეშვა დიმა.

“- კი, ესეც იცის!” დაუდასტურა დედამ.

“- აბა მაშინ მართლაც არ ჭირდება ეს თევზი!” წამიერი ჩაფიქრების შემდეგ ასკვნის დიმა.

12.05.03. დიმამ ისწავლა “მოდი ვნახოთ ვენახი”. მე ვუკითხავდი საღამოთი, ძილის წინ. დაინტერესდა, დაწვრილებით ამახსნევინა ყველაფერი და დამახსოვრება გადაწყვიტა. სტრუქტურა და აზრი საკმაოდ კარგად დაიმახსოვრა. ხანდახან ესა თუ ის სიტყვა დაავიწყდება (თოფი, მგელი და მისთ), დანარჩენი იცის.

როდესაც მიხვდა რომ ქართული ლექსი ისწავლა, გადაწყვიტა ეს მიღწევა ფართო მასებისთვის ემცნო. დაიწყო რასაკვირველია, მერიკოთი, მერე ანას მოუყვა, ნატოს რასაკვირველია, მერე თბილისელებზე გადავიდა. ტელეფონით ამცნობბდა ამ ისტორიას ავთო-ბაბუს, ლეილა-ბებოს. თორნიკეს... რაც კი ტელეფონები ვიცოდით თბილისში ყველაზე დაგვარეკინა. ძალიან სერიოზულად, გამოთქმით, მონდომებით ამბობს. თუ რაიმე შემთხვევით გამორჩა, თავიდან იწყებს. მოკლედ ნახევარი ხელფასი ვენახმა შეგვიჭამა...

16.08.03. ნატომ და მარიამმა (იაპონიაში მომუშავე, ჩვენი ნაცნობი ქართველი) განუწყვეტლივ ილაპარაკეს ექვსი (6) საათი. ვაცილებთ მარიამს სახლში მანქანით.

“- აი ასეთი ამბებია ჩემო მარი!” აცხადებს ნატალია, მე მგონი უფრო სიტყვის მასალად ვიდრე რამეს კონკრეტულს გულისხმობდა.

“- ძალიან კარგი ამბავია , ჩემო ნატო!” პასუხობს მარიამი ავტომატურად, არც უფიქრდება რაზეა ლაპარაკი.

“- ეჰ, კარგია თუ ცუდი არ ვიცი, მაგრამ ასეთია...” აგრძელებს ლაპარაკს ნატო.

აქ მე უკვე ველარ გავუძელი ასეთ შინაარსიან კამათს და სიცილი წამსკდა...

02.12.03. ნატო დიმას აძინებს. მოუყვა რაღაც ისტორიები, მერე ზღაპრები. დიმას ისევ ღვიძავს. მათემატიკა გააკეთებინა, გამრავლებაში გაავარჯიშა, მაინც ღვიძავს. ნატო ეუბნება:

“- მე როდესაც ვიძინებ, ჩემთვის ჩუმად რაღაცაზე ვფიქრობ და ნელ-ნელა მეძინება”.

“- ნეტა რა გაქვს საფიქრელი”, პასუხობს დიმა, “ქმარი გყავს, ბავშვები გააჩინე, აბა ქალმა მეტი რაზე შეიძლება იფიქრო?”

ოცდამეორე ფურცელი

25.12.03. შობისათვის მზადება დიმამ როგორც ყოველთვის დიდი ხნით ადრე დაიწყო. თანაც შეგვატყობინა რომ ჩვენ, მშობლებს, მაინცა და მაინც არ შეგვაწუხებს და ძვირადღირებული საჩუქრების დიდ ნაწილს თოვლის ბაბუას შეუკვეთავს, ასე რომ თურმე გვეშველა! ძლივს დავარწმუნე რომ თოვლის ბაბუას შესაძლებლობებიც არაა განუზღვრელი და ორი საჩუქრის მეტის მოთხოვნა არ შეიძლება, თორემ აბა დანარჩენმა ბავშვებმა რა უნდა ქნან? შეჩერდა ორ კომპიუტერის თამაშზე, ერთი დიდი კომპიუტერისათვის და მეორე თამაშების დანადგარისათვის.

თოვლის ბაბუა რომ "მოეთაფლა" და ორივე საჩუქარი მიეღო, გადაწყვიტა წერილი-შეკვეთა ბაბუასთან ორ ენაზე მიეწერა, იაპონურად და ქართულად. მერიმაც მხარი აუბა ძმას, "ნაგლად" განაცხადა რომ მასაც ეკუთვნის საჩუქარი და წერილი გააშვანშვალა თოვლის ბაბუასთან ახალი DVD-ს მოთხოვნით. ისარგებლა იმით რომ დიმას რწმენა არ გვინდოდა შეგვერყია, თორემ ადრე უკვე შეგვატყობინა რომ თოვლის ბაბუების არ სჯერა რადგან დიდი გოგოა და ყველაფერი იცის. წერილის დასაწერად დიმამ ქართულის წერაში ივარჯიშა, რითაც დიდათ გაგვახარა.

შევუდექით დაკვეთების შესრულებას. ერთი თამაში ადრე ვიყიდეთ, მეორე ძლივს ვიპოვეთ შობამდე რამდენიმე დღით ადრე. მე თოვლის ბაბუასაგან საპასუხო წერილი გავამზადე, თან თოვლის ბაბუას "ნამდვილი" ფოტო დავურთე: ერთ-ერთ საბავშვო-ბაგაში დამპატიჟეს თოვლის ბაბუას როლის შესასრულებლად და იქ გადავიღე სურათი კოსტიუმში. თან სურათის ფონი კომპიუტერით ჩვენი ბინის ხედით შევცვალე, სახეზე სათვალეები მივიხატე რომ ძნელად საცნობი გამოვსულიყავი. ანამ თოვლის ბაბუასათვის ნამცხვარი გამოაცხო (თუმცა თავისათვის არაფერს ითხოვდა, უბრალოდ კეთილია). ველოდებით რომ თოვლის ბაბუა მოვა ღამით. საღამოს დიმამ "გვერდზე" გამიყვანა და მეუბნება:

"- მე ვიფიქრე რომ სხვა თამაში ვთხოვო თოვლის ბაბუას, ახალი გამოშვებული თამაშია და ჩემს ამხანაგს უკვე მოუტანა თოვლის ბაბუამ. ამიტომ ახლა წერილს გადავწერ და ახალ თამაშს ვთხოვ!"



ძლივს დავარწმუნე რომ ახლა უკვე გვიანაა სურვილის შეცვლა, თოვლის ბაბუას საჩუქარი უკვე ნაყიდი ექნება-მეთქი.

გაგიკვირდებათ მაგრამ მართლაც მოვიდა თოვლის ბაბუა ღამით, როგორც კი დიმას ჩაეძინა. მოიტანა საჩუქრები, კამფეტები და სურათიანი წერილი.

დიმამ დილით ყურადღებით შეისწავლა დოკუმენტი - თოვლის ბაბუის წერილი. რომ არ ველოდი ისეთი დეტალები მოწვა. ჯერ ერთი რომ საგნები სხვანაირად იყო განლაგებული წიგნის თაროზე. მეორე, სურათი დღისით იყო გადაღებული და

განათება აშკარად ღამის განათებისაგან განსხვავდებოდა. ფაქტები ახსნას ითხოვდენ. საინტერესოა რომ თვითონაც ეძებდა პასუხს. თავიდან გამოთქვა იდეა რომ ალბათ ბაბუა რომ მოვიდა საგნები გადაადგილა იმიტომ რომ წიგნები დაათვალიერებინა. მეც "მივეხმარე", იდეა მივაწოდე რომ ალბათ სურათი მაშინ გადაიღო, როდესაც დიმას წერილის წასაღებად იყო მოსული, რამდენიმე დღის წინ, დღისით, როდესაც სახლში არ ვიყავით. ჩემმა მოსაზრებამ ყველა კითხვა მოხსნა: რასაკვირველია! წერილი ხომ უნდა წაეღო! მოვიდა და... ნუ ასე შემდეგ. მოკლედ პირნათლად დაიჯერა. ახლა უკვე მე დავინტერესდი, რამდენს გაუძლებს მისი რწმენა. ვუთხარი რომ ეს თოვლის ბაბუა ჩემსავით გასუქებული ყოფილა-მეთქი, და საერთოდ ცოტათი მე მგავს. დიმამ შეხედა სურათს, მერე მე და დაასკვნა რომ თოვლის ბაბუა ჩემზე გაცილებით გამხდარია და მაღალიცაა. მერე ყველა თავის ამხანაგს ამაყად უჩვენებდა ქართულად დაწერილ წერილს თოვლის ბაბუასაგან.

ახალი წლის დეკორაცია სენდაიში, 2003 წლის 25 დეკემბერი.

ოცდამესამე ფურცელი

14.02.04. ორიოდე დღის წინ ჩვენმა და ლეჟავების უმცროსმა წარმომადგენლებმა სასწაულად გაგვართეს. ეს ამბები თითქმის ერთდროულად მოხდა და ნატომ რომ დაურეკა ლიკას ჩვენი ყმაწვილის გმირობის შესახებ მოსათხრობად, საპასუხოდ ლიკასაგან ნიკუშას გმირობაზე გაიგო. ჯერ ნიკუშა ლეჟავას შესახებ:

ნიკუშასთვის სკოლაში საშინაო დავალებად დაუბარებიათ მოთხრობის წაკითხვა. საღამოს, გაკვეთილების გაკეთების დრო რომ დადგა, დამჯდარა თურმე ნიკუშა მაგიდასთან, გადაუშლია წიგნი და კითხულიბს:

"- ბა-ბა-ვშვი-ვშვი სკო-სკო-ლი-ლი-დან-დან მო-მო-ვი-ვი-და-და...."

ლიკა ეუბნება:

"- რას თამაშობ, წესიერად წაიკითხე!"

"- სკოლაში მითხრეს ორჯერ წაიკითხეო, ჰო და მეც ორჯერ ვკითხულობ!" უპასუხა ნიკუშამ.

იმისთვის ვისაც სიზუსტე უყვარს: რასაკვირველია იაპონური მოთხრობა იყო და ნიკუშაც იაპონურად კითხულიბდა, უბრალოდ სიმარტივისთვის ქართულად "გადავთარგმნე". იაპონურში თითო "ასო" ან ხმოვანია ან თანხმოვანი ხმოვანთან ერთად. ამიტომ სიტყვის "დამარცვლა" ძალიან ადვილია: თითო "ასო" თითო მარცვალია. ნიკუშა თითო "ასოს" ორჯერ კითხულობდა.

ახლა დიმიტრი:

პედაგოგიური დინიშნულების გაგება მიჭირს, მაგრამ სკოლაში დაუბარებიათ რომ სპეციალურად შედგენილ ცხრილში ჩაწეროს ციფრები 1-დან 1000-მდე მიყოლებით. თან დიმა ავად იყო როცა ყვალა დანარჩენი ბავშვი ამ დავალებას ასრულებდა ერთი კვირის განმავლობაში, ამიტომ მოუწია მთელი ცხრილის შევსება ერთ საღამოს. დიდი ჩხუბით და დავი-დარაბით დავსვით მაგიდასთან ცხრილის შესავსებად. ცოტა ხანში მივაკითხეთ და რას ვხედავთ: სისწრაფისთვის ჯერ უჯრედებში ასეულებს წერს მიყოლებით, მერე ათეულებს და ბოლოს ერთეულებს ავსებს (მაგალითად სამასიდან: ჯერ წერს სამიანებს 3, 3, 3, 3, 3, 3, ...,

მერე უწერს ნულებს: 30,30, 30, 30,... მერე ერთეულებს: 301, 302, 303,....). მერე, შვიდასამდე რომ მივიდა ჯერ შვიდიანის ერთ ნაწილს წერდა მერე ყველა შვიდიანს ხაზს გადაუსვამდა შუაში. მოკლედ, მოახდინა პროცესის ავტომატიზაცია. საკმაოდ მალე მორჩა დავალებას. ნამდვილად არ ვიცი რა ისწავლა ამ დავალებით მაგრამ ჩვენ კი მაგრად გაგვაკვირვა.

მოკლედ, ან აგვაშენებენ ესენი ან დაგვაქცევენ!

დასასრული

ეს არის და ეს, ფურცლები დასრულდა. 2004 წლის აპრილში იაპონიიდან შვედეთში გადავბარგდით. გადასვლასთან დაკავშირებით ძალიან დაკავებული ვიყავი და ჩანაწერებისათვის სამწუხაროდ აღარ მეცალა. თანაც ბავშვებიც უკვე გაიზარდნენ და ჩასაწერი ამბები იმდენად ხშირად აღარ ხდებოდა.

ახლა, ეს ფურცლები რომ მორჩა, აშკარად ვიგრძენი რამდენად ადვილია ყველაფრის გახსენება როდესაც ასეთი, თუნდაც მოკლე ჩანაწერები გაქვს. ერთია როდესაც ცდილობ ზოგადად გაიხსენო რომელიმე ეპიზოდი და სულ სხვა როდესაც გასახსენებლად ასეთი “დამხმარე” მასალა გაქვს. მოკლედ ყველას გირჩევთ თუ შესაძლებლობა გექნებათ თუნდაც ორი სიტყვით ჩაიწეროთ საინტერესო ამბავი. შემდგომში ნამდვილად გამოგადგებათ გახსენებისათვის. ნატომ და ბავშვებმა ძალიან იხალისეს ჩემი ჩანაწერებით, “ჯაჭვური რეაქციით” ბევრი სხვა ეპიზოდებიც გაიხსენეს. მერე ჩვენი ოჯახის არქივებში ჩავძვერით და ბავშვების წერილები, მოლოცვები, საჩუქრები გადავათვალიერეთ. ვარჩევდით, ვკითხულობდით, ვიცინოდით და გულები სითბოთი და სიყვარულით ივსებოდა. ძალიან სასიამოვნოა, დამიჯერეთ. თანაც მართლაც და არაფერია ამაში ძნელი, რომ არ გეზარებოდეს ადამიანს.

რამდენადაც მახსოვს, ასეთი “მიყოლებით ჩაწერილი” ფურცლები მეტი არ უნდა მქონდეს. თუმცა უფრო მოკლე ჩანაწერები უკვე შემხვდა არქივებში. მოკლე ჩანაწერების დალაგება და გავრცობა უფრო ბევრ დროს მოითხოვს. მაგრამ იმდენად ვისიამოვნე ჩატარებული სამუშაოთი რომ ვერ გამოვრიცხავ რომ მომავალში ამ ჩანაწერებსაც მივხედავ.

გმადლობთ ყურადღებისთვის! ბედნიერებას და ჯანმრთელობას გისურვებთ!

შინაარსი

შესავალი 2

პირველი ფურცელი 4

მეორე ფურცელი 6

მესამე ფურცელი 8

მეოთხე ფურცელი 10

მეხუთე ფურცელი 12

მეექვსე ფურცელი 14

მეშვიდე ფურცელი 16

მერვე ფურცელი 19

მეცხრე ფურცელი 21

მეათე ფურცელი 23

მეთერმეტე ფურცელი 25

მეთორმეტე ფურცელი 27

მეცამეტე ფურცელი 29

მეთოთხმეტე ფურცელი 31

მეთხუთმეტე ფურცელი 34

მეთექვსმეტე ფურცელი 37

მეჩვიდმეტე ფურცელი 39

მეთვრამეტე ფურცელი 42

მეცხრამეტე ფურცელი 44

მეოცე ფურცელი 46

ოცდამეერთე ფურცელი 49

ოცდამეორე ფურცელი 51

ოცდამესამე ფურცელი 54

დასასრული 56